

თბილისის
ვანო
სარაჯიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრის
ბიულეტენი



3. სიხლეები ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო კვლევის ცენტრში
4. ერქომაიშვილის საგვარეულოს უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი
5. ქართული საგალობლის ფესტივალი საჩხერეში
6. ანსამბლი „მზეთამზე“ ვენეციაში
7. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტები
9. ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში
10. ქართველი ეთნომუსიკოლოგები. ოთარ ჩიჯავაძე
13. ოთარ ჩიჯავაძე. ქართული ხალხური მრავალხმიანობა და ევროპის შუასაუკუნეების პოლიფონია
15. საქართველოს ფოლკლორული კოლექტივები. ანსამბლი „ზედაშე“
19. ქართული და ჩრდილო-კავკასიური ხალხური სიმღერების ურთიერთობის შესახებ
23. „მეორე სიცოცხლეც რომ მქონდეს, ამ საქმეს დაუთმობდი“. ინტერვიუ ანსამბლ „შგარიდას“ ლობბარ გურგენ გურჩიანთან
26. ერთი ქართული ხალხური სიმღერა. „მისდევს მელა ლომსა“ (აჭარული)

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად.

რედაქტორები:
რუსუდან წურწუშია,
თამაზ გაბისონია

დიზაინერები:
ნიკა სეზისკვერაძე,
გიორგი კოკილაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
თამაზ გაბისონია
ვალერი ჯუღელი

სტამბა: „ჩოხი“

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული
მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი 2007.

ISSN 1512-2883

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10.
ტელ: (+995 32) 2998953, ფაქსი: (+995 32) 2987187

ელ-ფოსტა: polyphony@polyphony.ge; polyphony@conservatoire.edu.ge;

www.polyphony.ge

სიახლეები ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში

ტმკსც-ის დირექტორი დრ.
პროფ. რუსუდან ნურნუშია



საქართველოში უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასაც და, ამდენად, ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრსაც შეეხო. ბიულეტენის მკითხველებისთვის ცნობილია, რომ ჩვენი ცენტრი 2002 წელს შეიქმნა ქართველი სპეციალისტების ინიციატივითა და ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილე მსოფლიოში ცნობილი ეთნომუსიკოლოგების ერთსულოვანი მხარდაჭერით. ცენტრის დაარსებიდანვე მის წარმატებულ საქმიანობაში გადამწყვეტი როლი იუნიესკომ შეასრულა, რომელმაც “ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების” პროგრამის ფარგლებში იგი თანამედროვე აპარატურით აღჭურვა და 2003-2006 წლებში დააფინანსა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი — ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა, საველე ექსპედიციები, პუბლიკაციები. ერთ-ერთი პროექტი სწორედ ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ორენოვანი ბიულეტენის დაარსება და მისი რამდენიმე ნომრის გამოცემა გახლდათ.

2007 წლის სექტემბრამდე ცენტრის ძირითად საბაზისო ერთეულს, მისი წესდების თანახმად, წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკის შემოქმედების კათედრა, მასთან არსებული ხალხური შემოქმედების კაბინეტითა და საერო და სასულიერო მუსიკის კვლევის ლაბორატორიით. მის მუშაობას კი მე ვხელმძღვანელობდი, როგორც კონსერვატორიის პრორექტორი, მოგვიანებით კი რექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. კონსერვატორიის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ამ შემოდგომიდან ცენტრის ხელმძღვანელობას უკვე მისი დირექტორის სტატუსით ვაგრძელებ. ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრა მიმართულებად ჩამოყალიბდა,

ხოლო ცენტრი საკუთარი თანამშრომლებითა და კომპლექტებული — მუშაობას აგრძელებს ქვნი მაია კაჭკაჭიშვილი, რომლის მოვალეობას, ძირითადად, ორგანიზაციული საქმიანობა, საერთაშორისო კონტაქტები და მთარგმნელობითი მუშაობა შეადგენს, ხოლო ეთნომუსიკოლოგიურ საქმიანობას ცენტრის სპეციალისტები — თამაზ გაბისონია და მაკა ხარძიანი ეწევიან.

ცხადია, ჩვენი ცენტრის მიზანი კვლავინდებურად მრავალხმიანობის, როგორც მუსიკალურ-სააზროვნო კატეგორიის, ბუნებისა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მისი გამოვლენის კვლევაა. რადგან ჯერჯერობით საქართველოში არაქართული მრავალხმიანობის შემსწავლელი ეთნომუსიკოლოგები არ გვყავს და ჩვენ ამ ეტაპზე არც იმის შესაძლებლობა გვაქვს, ქართველი მეცნიერები სხვა ხალხების მრავალხმიანობის შესასწავლად ქვეყნის გარეთ მივავლინოთ, ეს უფრო სამომავლო პერსპექტივაა, ვიდრე ცენტრის ამჟამინდელი საქმიანობის რეალური ამოცანა. უფრო მეტიც, სპეციალისტების მცირერიცხოვნების გამო შეზღუდულები ვართ საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების — თუნდაც აფხაზური და ოსური მრავალხმიანობის შესწავლაშიც.

ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ საკუთრივ კვლევით სამუშაოზე, ცენტრის პროექტები, ძირითადად, კვლავ ქართულ მრავალხმიანობაზეა მიმართული. ამ საქმიანობაში კი საკუთრივ ცენტრის თანამშრომლებთან ერთად ქართული ხალხური შემოქმედების ლაბორატორიის თანამშრომლები არიან ჩართულნი. მაგალითად, ჩვენ ძალიან ვამაყობთ საქართველოში დაცული ფონოგრაფის ლილვაკების კატალოგისა და ლაზერული დისკების პროექტით „ხმები წარსულიდან“, რომლის I ეტაპი უცხოელ პარტნიორთან — ვენის ფონოგრამარქივთან თანამშრომლობით განხორციელდა და საერთაშორისო ჟღერადობა შეიძინა.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ჩვენმა ცენტრმა უკვე მოახერხა გარკვეული ავტორიტეტის მოპოვება საერთაშორისო მასშტაბით. ამას, უპირველეს ყოვლისა, გვაფიქრებინებს ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი. იგი ერთგვარად უნიკალურიცაა, რადგან განსხვავებით მსოფლიოში ჩატარებული მსგავსი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებისაგან, იგი არ იფარგლება ერთი რომელიმე რეგიონის (მაგალითად, ევროპული ან აფრიკული) მრავალხმიანობით, არამედ აქ თავს იყრიან და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას მრავალხმიანობის სპეციალისტები მსოფლიოს სრულიად სხვადასხვა რეგიონიდან. თბილისის სიმპოზიუმებზე უკვე წარმოდგენილი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ არაბეთის, ბულგარეთისა და ცენტრალური აზიის ე. წ. ობერტონული სიმღერა, ჰერცოგოვინა-ბოსნიური, ლიტვური, ალბანური, უკრაინული, ავსტრიული, იტალიური, საფრანგეთის პირინეების, ბასკური, ხორვატული, რუსული, პიგმეების, ტანზანიური, ინდონეზიური, გვინეური მრავალხმიანობა. ეს საკითხი ჩვენთვის მეტად პრინციპულია, რადგან სიმპოზიუმის გეოგრაფიის გაფართოება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია მსოფლიო მრავალხმიანობის სფეროში ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის მისაღწევად.

ამ სიმპოზიუმის ერთ-ერთი ორგანიზატორს, ჩვენი ცენტრის საზღვარგარეთული ბიუროს ხელმძღვანელს დრ. იოსებ ჟორდანიას, რომელიც კარგად იცნობს მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმების მსოფლიო პრაქტიკას, მიაჩნია, რომ თბილისის

სიმპოზიუმი შესანიშნავ ტრიბუნად იქცა იმ კვლევების შედეგების გამოსამზეურებლად, რომელიც უკანასკნელ ხანს აქტიურად მიმდინარეობს მთელს მსოფლიოში მრავალხმიანობის სხვადასხვა რეგიონული სტილების შესასწავლად. თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიის ასეთი გააქტიურება მრავალხმიანობის სფეროში, თუ ჩვენი მეგობარი ეთნომუსიკოლოგები გადაჭარბებაში არ ჩამოგვართმევენ, ვფიქრობთ, გარკვეულწილად, თბილისური საერთაშორისო ფორუმების წარმატებებთანაც არის დაკავშირებული. ჩვენ გვინდა მსოფლიო ტრადიციული პოლიფონია წარმოვაჩინოთ ეთნომუსიკოლოგიურ-კულტურული პრობლემების ფართო კონტექსტში, რის გამოც, შესაბამისად, თბილისში ჩატარებულ ნებისმიერ სიმპოზიუმზე შეიძლება წარმოდგენილ იქნას მრავალხმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოხსენება.

ყოველივე ეს კარგად ეხმიანება თბილისის მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის ამოცანას ხელი შეუწყოს ტრადიციულ კულტურათა დიალოგს მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად.

კიდევ ერთი, ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი სიახლე: შვეიცარიის განვითარების ფონდის მხარდაჭერით ვინყებთ ცენტრის ვებგვერდის www.polyphony.ge განახლებას, რის შედეგად იგი ადვილად მართვადი გახდება და შესაძლებლობას მოგვცემს დაინტერესებულ მომხმარებელს, გვერდის ახალი კონცეფციის თანახმად, საინტერესო და უფრო ვრცელი ინფორმაცია მივანოდოთ მსოფლიო მრავალხმიანობის შესახებ.

ერქომაიშვილების საგვარეულოს უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი

ნინო ნანიშვილი

30 ოქტომბერს არტემ ერქომაიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია და საკონცერტო საღამო გაიმართა.

მგალობელ-მომღერალი არტემ ერქომაიშვილი გურიაში ერთ-ერთი გამორჩეული ლოტბარი გახლდათ. ერქომაიშვილის გვარის მუსიკალურ ტრადიციას სამსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მათ წინაპართაგან, ადრეული ცნობები მოგვეპოვება არტემის ბაბუის, ივანე ერქომაიშვილის მომღერლობის შესახებ. არტემის მამას, გიგოს,

თავდაპირველად სწორედ მამისგან შეუთვისებია სიმღერა. გიგოს ათი შვილიდან სამმა ვაჟმა: არტემმა, ანანიამ და ვლადიმერმა მთელი თავიანთი ცხოვრება, ნიჭი და ენერჯია ქართული ხალხური შემოქმედების განვითარებას მიუძღვნეს.

არტემ ერქომაიშვილი სრული მგალობელია — ქართული სამხმიანი გალობის სრულად მცოდნე, რომელმაც უახლოეს ისტორიულ წარსულამდე მოაღწია და ჩვენამდე ცოცხალი სახით მოიტანა თვითმყოფადი მუსიკალური ტრადიცია. საინტერესოა, რომ 1966 წელს გრიგოლ

ჩხიკვაძის თაოსნობით, ფოლკლორისტ კახი როსებაშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხალხური შემოქმედების კათედრაზე ჩაინერა ასზე მეტი საგალობელი, რომლის სამივე ხმას არტემ ერქომაიშვილი ასრულებდა.

აღსანიშნავია, რომ არტემ ერქომაიშვილი თავადაც თხზავდა სიმღერებს. ერთ-ერთი მათგანი — „დავკარგეთ სამი მომღვინე“ საიუბილეო საღამოზე გური, ტრისტან სიხარულიძეებისა და მერაბ კალანდაძის ცნობილი ტრიოს შესრულებით აჟღერდა. ამ დღესთან დაკავშირებით გამოიცა ძმებ არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილების 1965 წლის ჩანაწერების V დისკო, რომელშიც ერთი საგალობელი და ოთხი სიმღერაა შესული („სიყვარულმა მოგვიყვანა უფალო“, „შავი შაშვი“, „გრძელი ღიღინი“, „დიდი ხნიდან გაგიცანი“, მადლობელი“.)

კონფერენცია ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზატორობით გაიმართა. სამეცნიერო თემები წარმოადგინეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებმა და მეცნიერებმა. სხდომა ანზორ ერქომაიშვილის სიტყვით გაიხსნა ბაბუაზე მოგონებით. მოისმინეს შემდეგი მოხსენებები: არტემ ერქომაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა — ნინო რაზმაძე; არტემ ერქომაიშვილის — სრული მგალობლის ნევემირებული წიგნაკი — მანანა ანდრიაძე; შემოქმედის სკოლის სხვადასხვა თაობის საგალობო ტრადიციების მუსიკალურ-ენობრივი კავშირები — დავით შულღიაშვილი; ტრადი-



ციული მრავალხმიანობის ქართული ხედვა — რუსუდან წურწუმია; გურული სიმღერის საშემსრულებლო რეგლამენტის თავისებურებები — თამაზ გაბისონია; გურული მრავალხმიანი აკვნის სიმღერების მხატვრული თავისებურებები — ნინო კალანდაძე; მრავალხმიანობის პრინციპი ქართულ საკრავიერ მუსიკაში — მანანა შილაკაძე; საეკლესიო გალობის სწავლების მეთოდის შესახებ — მაგდა სუხიაშვილი; პასექის კანონი ფილიმონ ქორიძისა და არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერებში — სვიმონ ჯანგულაშვილი;

„ჰომო პოლიფონიკუსი“ ქართულ გარემოში — ნინო ჩიტაძე; ქართული საგალობლის სამუსიკო ნიშნებით ჩანერის XX საუკუნის ტრადიცია — ბაია ჟუჟუნაძე; ერქომაიშვილების გვარის სამგალობლო ტრადიცია და თანამედროვე პრაქტიკა — ნინო ნანეიშვილი;

საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობდნენ თბილისისა და რეგიონების ფოლკლორული ანსამბლები: „რუსთავი“, „მთიები“, „ანჩისხატი“, „დიდგორი“, „ბასიანი“, „სახიობა“, „შავნაბადა“, „ბათუმი“, „იაღონი“, „ელესა“, „შალვა ჩემო“, „ვახტანგური“, სამების საპატრიარქო ტაძრის მგალობელ ვაჟთა გუნდი რეპერტუარს უმეტესად გურული სიმღერები შეადგენდა. აჟღერდა ძმები ერქომაიშვილების ძველი ჩანაწერები ახლადგამოშვებული კომპაქტდისკიდან.

კონცერტი ახალგაზრდული ინიციატივით მოეწყო, რომელთაც მნიშვნელოვანი თანადგომა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ აღმოუჩინა.

ქართული საგალობლის ფესტივალი საჩხერეში

ნანა ვალიშვილი

2001 წლიდან დაარსდა სრულიად საქართველოს ფესტივალი „ქართული საგალობელი“. ფესტივალის იდეა ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიაში დაიბადა. თანაორგანიზატორია საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, პროექტის დირექტორი — საქართველოს კულტურულ-სა-

განმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის იმერეთის რეგიონის თავმჯდომარე, საჩხერის წმიდა ნინოს ტაძრის მგალობელი ლია ვეშაპიძე. მისი თქმით, „ფესტივალის დაარსების მიზანი იყო მსოფლიოში უნიკალური ქართული საგალობლების მოძიება-აღდგენა, ქართული მრავალხმიანი გალობის ტრადიციის აღორძინება და ღვთისმსახურებაში მისი კვლავდამკვიდრება“.

ფესტივალის ერთ-ერთი სულისჩამდგმელია ქორვილის მაცხოვრის აღდგომის ტაძრის მამონდელი წინამძღვარი, ამჟამად თბილისის თაბორის მთის ფერისცვალების მამათა მონასტრის წინამძღვარი და ამ მონასტერთან არსებული ნარკოლოგიური ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო ცენტრის „თაბორის“ ხელმძღვანელი არქიმანდრიტი ბართლომე (ფირცხალაიშვილი). მისი სიტყვებით, „ოცდამეერთე საუკუნის მატერიალური პროგრესის პერიოდში ადამიანებს ავიწყდებათ, რომ მათ, გარდა ხორცისა, სულიც გააჩნიათ. სული კი თავის საკვებს ითხოვს. გალობა სწორედ ასეთი საკვებია. ჩვენს დღევანდელ სიცივის ეპოქას გალობით დათობა სჭირდება.“

წელს ფესტივალი მესამედ გაიმართა. ორი დღის მანძილზე საჩხერის კულტურის ცენტრმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და დედაქალაქიდან ჩამოსულ 50-მდე მგალობელთა გუნდსა და ფოლკლორულ ანსამბლს, სულ — 700-მდე ადამიანს უმასპინძლა. ტრადიციულად, თითოეულ მონაწილე საეკლესიო გუნდს გადაეცა საპატრიარქოს გალობის ცენტრის მიერ გამოცემული ქართული საგალობლების კრებულები (II და IV ტომი) კომპაქტდისკებითურთ, რომელიც კულტურის სამინისტრომ ფესტივალს შეუძინა.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ფესტივალის კონცერტები ხმის ჩამწერი სტუდიის მეშვეობით ჩაიწერა. „ცენტრს განზრახული აქვს კომპაქტალბომების გამოცემა ბუკლეტიურთ და მონაწილეებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა“, — განაცხადა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყო საჩხერის რაიონის ღირშესანიშნაობათა ფოტოგამოფენა,

რომელიც კულტურის სამსახურის უფროსის ლევან ჩხეიძის ძალისხმევით მომზადდა.

ფესტივალი აკურთხა და მონაწილეები დალოცა ცხუმ-აფხაზეთისა და ქიათურა-საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა.

ტრადიციულად, ფესტივალს ესწრებოდა სპეციალისტთა ჯგუფი — მალხაზ ერქვანიძე, კობა ბერიაშვილი, ქეთევან მათიაშვილი, ნანა ვალიშვილი, თეა კასაბური — რომელთაც მონაწილეებს ზოგადი პროფესიული რჩევები და კონკრეტული შენიშვნები მისცეს რეპერტუარის სწორად შერჩევის, სამგალობლო სტილისა და საშემსრულებლო მანერის შესახებ.

საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის თანამშრომლის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიის გამგის, ეთნომუსიკოლოგ ქეთევან მათიაშვილის აზრით, „პირველი ფესტივალი მწირი რეპერტუარით გამოირჩეოდა და მონაწილეთა უმეტესობა კულტურის სახლებთან არსებული ანსამბლები იყო. დღესდღეობით კი ტაძრებში მოქმედი მგალობლები ჭარბობენ, გარდაილია კანონიკური საგალობლების წილი. ჩვენი მიზანია, დავინახოთ, რა მდგომარეობაა საქართველოში გალობის თვალსაზრისით. სასურველია, ხელმძღვანელი წინ არ დაუდგეს გუნდს და ხელის ქნევით აქტიურად არ უდირიჟოროს. ქართულ სინამდვილეში არის პრაქტიკა, რომ ხელმძღვანელები გუნდის გვერდით დგებიან და ძალიან ფაქიზად, ხელით აძლევენ მითითებებს. რამდენკაციაინიც არ უნდა იყოს გუნდი, მთავარია მათ ერთმანეთი შეიგრძნონ.“

ფესტივალის წარმატებულმა მიმდინარეობამ დაბადა იდეა მომავალში მისთვის საერთაშორისო მასშტაბის მინიჭებისა.

ანსამბლი „მზეთამზე“ ვენეციაში

ნინო მახარაძე

2007 წლის ნოემბერში ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „მზეთამზე“ მინვეული იყო იტალიაში.

ვენეციაში სან ჯორჯო მაჯიორეს კუნძულზე 1997 წლიდან ტარდება იტალიისა და ევროპის სხვა რეგიონების მრავალხმიანი კულტურების პროგრამა „ინ ვივა ვოჩე“, რომელიც ორგანიზებულია ჯორჯო ჩინის საქველმოქმედო ფონდის მიერ. მუსიკის მოყვარულებს, ექსპერტებსა და მკვლევარებს საშუალება ეძლევათ კონცერტებითა და სემინარებით გაეცნონ მრავალხმიანი მუსიკალური კულტურების სა-

უკეთესო ნიმუშებს. პროგრამის რიგით მე-11 სემინარზე წარმოდგენილი იყო ქართული ტრადიციული მუსიკა. კონცერტისა და სემინარის მომზადებაში მონაწილეობდნენ ვენეციის უნივერსიტეტი, ხელოვნების ისტორიისა და მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტები.

„მზეთამზემ“ ერთგანყოფილებიან პროგრამაში მსმენელს შესთავაზა ქართველ ქალთა სასიმღერო შემოქმედების სხვადასხვა ჟანრი. სემინარზე ქართული მრავალხმიანი მუსიკის ანალიზითა და კლასიფიკაციით გამოვიდნენ ეთნო-

მუსიკოლოგები მაურიციო აგამენონე (იტალია), ნატო ზუმბაძე (საქართველო), სიმჰა არომი (საფრანგეთი) და პოლო ვალეჰო (ესპანეთი).

სემინარის წამყვანმა მაურიციო აგამენონემ მოკლედ ისაუბრა საქართველოზე, რომელიც ბევრი მეცნიერის მიერ ევროპული მრავალხმიანობის „აკვნად“ არის წოდებული.

ნატო ზუმბაძის მოხსენების თემა გახლდათ „ქართული მრავალხმიანი სიმღერა და მისი კანონზომიერებები“.

სიმჰა არომისა და პოლო ვალეჰოს ერთობლივ ნაშრომში განიხილებოდა მრავალხმიანი ინტონირების სოციალური გარემო დღევანდელ საქართველოში, ქართული ენის, რელიგიისა და დიალექტოლოგიის საკითხები, მრავალხმიანობის ტიპები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ბგერათრიგებისა და აკორდიკის (კონ-



სონანსისა და დისონანსის) საკითხებს.

მოხსენებები ილუსტრირებული იყო აუდიო და ვიდეო მასალით. საქართველომ და ქართულმა მრავალხმიანობამ მსმენელთა დიდი ინტერესი დაიმსახურა.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტები


ნანა ვალიშვილი

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დასრულდა ძირითადი საარქივო მასალის კომპიუტერიზაცია. ამ ეტაპზე დამუშავებულია 61 200 სანოტო ფურცელი (ხალხური სიმღერები და საგალობლები) და ფოტოსურათი.

შეჯამდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს 682 განკარგულებით დაარსებული საქართველოს ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის შედეგები: მომზადდა დოკუმენტი — „დათვალიერება-ფესტივალის შედეგების ანალიზი“ (აპრილი-მაისი); მომზადდა და რაიონებში დაიგზავნა დათვალიერება-ფესტივალის ლაურეატთა ნახალისებისა და დახმარების წერილები (თებერვალ-მარტი). ამ წერილების საფუძველზე, საჭიროებისამებრ, ლაურეატთა უმეტესობას გაუუმჯობესდა სამუშაო პირობები, დაენიშნა რეგულარული სახელფასო ანაზღაურება; ზოგ მათგანზე გაიცა ერთჯერადი მატერიალური ჯილდოები; მნიშვნელოვანია, რომ ფოლკლორის ეროვნულ დათვალიერება-ფესტივალში მონაწილე მუსიკალური კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლებისათვის (ლაურეატთა

გარდა) ცენტრის სპეციალისტთა მიერ შემუშავდა შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, ხელახლა გადაისინჯა ფესტივალის მიმდინარეობის მთელი ვიდეომასალა, მომზადდა და საქართველოს რაიონებში დაიგზავნა მენიშვნებისა და სურვილების 500-მდე ინდივიდუალური პაკეტი (აპრილი-მაისი)

ფოლკლორის მხარდამჭერი ნაციონალური საპრეზიდენტო პროგრამით 2007 წელს განხორციელდა პროექტი: „თურქეთში ქართული ფოლკლორული კოლექტივების მხარდაჭერის პროგრამა“. პროექტი მიზნად ისახავდა თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში მოქმედი ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების პროფესიულ დახმარებას, მათთვის ახალი სიმღერებისა და ცეკვების შესწავლას. თურქეთის შვიდ ქალაქში (სტამბული, ჰენდექი, დუზჯე, გულჯუქი, ორჰანგაზი, გონენი, გებზე) ოთხი თვით გაიგზავნა ორი ლოტბარი და ხუთი ქორეოგრაფი. ამას გარდა, თურქეთში, ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების ხუთ ხელმძღვანელს დაენიშნა ყოველთვიური ხელფასი



მომზადდა და განხორციელდა პროექტი — „მასტერკლასები ქორეოგრაფიაში“. მასტერკლასების ჩასატარებლად 10 რეგიონის 12 პუნქტში 27 მაისიდან 13 ნოემბრის ჩათვლით თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა უჩა დვალიშვილმა, ასისტენტის დახმარებით, ჩაატარა მასტერკლასები (თეორიული და პრაქტიკული კურსი). ამას გარდა, 29 მაისიდან 3 ივნისამდე, სპეციალური პროგრამით, აჭარიდან მოწვეული რვა უზუცესი მოცეკვავის მონაწილეობით, თბილისში ჩატარდა აჭარული ცეკვის ხუთდღიანი მასტერკლასი.

ამავე პროგრამით დაფინანსდა ექსპედიცია ზემო სვანეთში და მთელი რიგი გამოცემები: „ქართული ხალხური სიმღერის თვითმასწავლებელი“ (CD), „ქართული ცეკვის საარქივო ჩანაწერები“ (DVD), ბროშურა „ქართული საგალობლები“.

მომზადდა და განხორციელდა პროექტი „კავსადეები“: გამოიცა დათაშკა კავსადის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ბროშურა (ინგლისური რეზიუმით) და კომპაქტალბომი (მაისი-ოქტომბერი).

ფოლკლორის მხარდამჭერი ნაციონალური საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში მომზადდა და განხორციელდა პროექტი „ქართული ცეკვის საარქივო ჩანაწერები“: გამოიცა (2007,



დეკემბერი) V ალბომის I ნაწილი (1938-1960-იანი წლები). პროექტის პრეზენტაცია გაიმართა 2008 წლის 28 თებერვალს

ვმონაწილეობდით სრულიად საქართველოს III ფესტივალის — „ქართული საგალობელი“ — გამართვასა და სპეციალისტთა ჯგუფის მუშაობაში (25-26 სექტემბერი). ფესტივალის დამფუძნებლებთან ერთად, მოვამზადეთ და გამოვეცით ფესტივალის კომპაქტდისკი და ბროშურა (დეკემბერი) (ნიგნის ფოტო);

მომზადდა და გამოიცა ნანა ფალიანის საავტორო პროექტი — „ქართული ხალხური სიმღერის თვითმასწავლებელი“, ელექტრონული ვერსია (დეკემბერი) (დისკის ფოტო);

2007 წლის 1 ივნისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ქართული მუსიკის საღამო. მომზადდა და 2008 წლის I კვარტალში გამოიცემა ამ საღამოს კომპაქტდისკი;

26 ოქტომბერს კონსერვატორიის მცირე დარბაზში მოეწყო ედიშერ გარაყანიძის დაბადებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო და „რჩეული წერილების კრებულის“ პრეზენტაცია.

2007 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს ხმის ჩამწერი მოძრავი სტუდია გადმოსცა. მოძრავი სტუდიის მეშვეობით განხორციელდა ექსპედიციები 2005-06 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის ლაურეატებისა და სხვა ადგილობრივი შემსრულებლების დასაფიქსირებლად: ზემო სვანეთში (ავვისტო), იმერეთში (სექტემბერი), კახეთში (ოქტომბერი), სამეგრელოში (ნოემბერი), აჭარაში.

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში

ეკა შოშიაშვილი

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმი დაარსდა 1975 წელს, თბილისელი კოლექციონერის — არკადი რევაზიშვილის — მექანიკური საკრავების კოლექციის ბაზაზე და ეწოდა მექანიკური საკრავების მუზეუმი. რევაზიშვილის კოლექცია ცნობილი იყო როგორც თბილისში, ასევე საქართველოს მრავალ ქალაქსა და სოფელში. 1984 წლიდან მუზეუმს ხალხური საკრავების სახელმწიფო მუზეუმი ეწოდა, ხოლო, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 დეკემბრის ბრძანებულებით, ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და ეწოდა „ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმი“.

მუზეუმში დაცულია 4 500 ექსპონატი: ქართული ხალხური, აღმოსავლური, მექანიკური და ევროპული საკრავების მრავალი უნიკალური ნიმუში. აგრეთვე, პირადი ფოტო არქივებიდან შემონიშნული ფოტო, ფონო და ვიდეო მასალები, გრამფირფიტები, ქართული ხალხური სიმღერებისა და საკრავების სანოტო ხელნაწერები, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა,

მუზეუმში დაცული ექსპონატებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ჩვ. წ. აღ.-მდე XV-XIV ს-ის მცხეთის არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი გედის ძვლისაგან დამზადებული სალამურის ასლი, აკაკი ხორავასეული ჩონგური, დიპლიპიტო ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის

ოჯახიდან, უძველესი ლაზური საკრავი — პილილი, ხეზე კვეთის ოსტატის ვასო სალღიანის მიერ შესრულებული ჩანგი, უძველესი დაირები, რომლებიც დამშვენებულია ქართული ორნამენტებით, ძვლის ინკრუსტაციითა და ზანზალაკებით.

მუზეუმში წარმოდგენილი აღმოსავლური საკრავების ნაწილი დამშვენებულია სადაფის ინკრუსტაციით (თარი, საზი, ქამანჩა, დაირა).


მუზეუმის ფონდების მშვენებაა ევროპული მექანიკური მუსიკალური საკრავები, რომლებიც XIX ს-ის შუა წლებში დასავლეთ საქართველოში ევროპიდან შემოიტანეს და ქართულ ქალაქურ ყოფაში დაიმკვიდრეს ადგილი.

მუზეუმში დაცულია არღნების კოლექცია, მათ შორის ჩეხი ოსტატის — ნეჩადას მიერ დამზადებული.

არანაკლებ საინტერესოა მუზეუმში დაცული კლავიშისანი საკრავები: XIX ს-ს პორტატული და მექანიკური ფორტეპიანოები, რამდენიმე ფისჰარმონია (მათ შორის — უმცირესი ზომის, ხელით ნაკეთობის იშვიათი ნიმუში), სხვადასხვა ზომისა და ფორმის აკორდეონები, კავკასიური და შუა აზიური გარმონები, როიალი.

მუზეუმი სისტემატურად ეწევა საექსპედიციო-შემგროვებლობით საქმიანობას. ასევე, აპირებს გაცვლითი ფონდის შექმნას, რაც საშუალებას მისცემს ურთიერთობა დაამყაროს საზღვარგარეთის ქვეყნების მონათესავე მუზეუმებთან.

ბოლო წლებში მუზეუმი ერეკლე II-ს მოედანზე მდებარეობდა, ავარიულ შენობაში, სადაც შეუძლებელი იყო სარემონტო სამუშაოების ჩატარება და ექსპოზიციის მოწყობა. ამის



გამო, თითქმის ათი წელიწადი, უნიკალური ექსპონატები მიუწვდომელი იყო დამთვალიერებელთა ფართო წრისათვის. 2007 წელს სატენდერო გაცვლის საფუძველზე მუზეუმი ახალ შენობაში გადავიდა — თბილისის ძველ უბანში, ციხე-სიმაგრე ნარიყალას ძირში. მუზეუმის დღევანდელი ადგილმდებარეობა ხელსაყრელია მისი ტურისტულ მარშრუტში ჩართვისა და

აქტიური პოპულარულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისთვის. დღესდღეობით აქ მოქმედებს დროებითი ექსპოზიცია. შესაბამისი დაფინანსების პირობებში, დაგეგმილია მუზეუმის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა და, აუდიო-ვიდეო მასალის გამოყენებით, ცოცხალი, „ჟღერადი“ ექსპოზიციის მოწყობა.

ქართველი ეთნომუსიკოლოგები

ოთარ ჩიჯავაძე

1919-1998

მუსიკის ისტორიისა და ფოლკლორის კათედრებზე თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მოღვაწეობდა ქართული მუსიკის ისტორიისა და ფოლკლორის მკვლევარი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დოცენტი ოთარ ლონგინოზის ძე ჩიჯავაძე.

ოთარ ჩიჯავაძე დაიბადა ქ. თბილისში 1919 წლის 19 მარტს, ლონგინოზ ლონგინოზის ძე ჩიჯავაძისა და მისი მეუღლის, ანა გიორგის ასულ აგლაძე-ჩიჯავაძის ტრადიციულ ქართულ ოჯახში. მამას, პროფესიით ინჟინერს, უმაღლესი განათლება ბელგიაში ჰქონდა მიღებული. მის მიერ აშენებულ ობიექტებს შორის დავასახელებთ ხრამჭვისის ჰიდროელექტროსადგურს. 1937 წელს იგი რეპრესირებული და დახვრეტილი იქნა კომუნისტური რეჟიმის მიერ. დედა - ანა გიორგის ასული აგლაძე-ჩიჯავაძისა იყო ცნობილი ვოკალისტი, დიდი ერუდიციის მქონე პიროვნება, ეთერის პარტიის პირველი შემსრულებელი (იგულისხმება ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ საკონცერტო შესრულება), სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი, რომლის კლასიდანაც გამოვიდნენ ცნობილი ვოკალისტები ლამარა ჭყონია, ივერი კავსაძე და სხვანი. როდესაც კონსერვატორიასთან ჩამოყალიბდა ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფები, რომელიც შემდგომში სამუსიკო ათნლედად ჩამოყალიბდა და მიენიჭა ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური ათნლედის სახელწოდება, მას სათავეში ჩაუდგნენ მუსიკოსი გიორგი თაქთაქიშვილი და ანა ჩიჯავაძე. ეს უკანასკნელი მრავალი წლის მანძილზე სასწავლო ნაწილის გამგით საპასუხისმგებლო მოვალეობას ასრულებდა.

ჩიჯავაძეების ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ქართული კულტურის ცნობილი წარმომადგენელები, როგორც იყო ზაქარია ფალიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია (სწორედ მან გააცნო ერთმანეთს ანა აგლაძე და ლონგინოზი), რევაზ ნათაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი . . . შემდგომში კი - გრ. ჩხიკვაძე, შ. ასლანიშვილი, ლ. დონაძე, შ. მშველიძე, ბ. ჭიაურელი, მ. ჩირი-



ნაშვილი და ბევრი სხვა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ო. ჩიჯავაძის ნათლია იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე.

ბუნებრივია, რომ ყოველივე ამას არ შეეძლო დიდი ზემოქმედება არ მოეხდინა ო. ჩიჯავაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, რადგან ის და მისი ძმები - გივი და მერაბი, ბავშვობიდანვე იზრდებოდნენ ეროვნული მაღალი კულტურისა და ინტელექტის ატმოსფეროში. ამას თან ერთვოდა ჩიჯავაძეთა გვარის გამორჩეული სიყვარული ხალხური მუსიკალური ხელოვნებისადმი.

ო. ჩიჯავაძის ბიძა - ირაკლი ჩიჯავაძე, პროფესიით აგრონომ-მელვინე, რომელსაც განათლება საფრანგეთში ჰქონდა მიღებული, უკრავდა ჩელოზე (მოყვარულის დონეზე) და სხვადასხვა ხალხურ საკრავზე, შესანიშნავად მღეროდა აგრეთვე ბიძა - შაქრო ჩიჯავაძე, მთელ კახეთში ცნობილი ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი, რომლის მოსმენის შემდეგ დიდ ვანო სარაჯიშვილს უთქვამს: „რა გინდა შენ კახეთში, შენი ხმის პატრონი იტალიაში უნდა მღეროდესო“. ოთარის ბიძაშვილი ალექსანდრე (სანდრო) ირაკლის ძე ჩიჯავაძე ცნობილი ვიოლონჩელისტი იყო, პირველი ქართველი ლაურეატი, აღიარებული მუსიკოს-შემსრულებელი, ცნობილი საბჭოთა კავშირისა და მის ფარგლებს გარეთაც, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, თბილისისა და კაიროს კონსერვატორიების პროფესორი.

ოთარ ჩიჯავაძის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა აგრეთვე უსაყვარლესმა ბებო ვერამ. დიდსულოვანმა, მრავა-

ლი უბედურების მომსწრე ქალბატონმა (იგულისხმება მისი ვაჟების – ირაკლისა და ლონგინოზის ნაადრევად დაღუპვა, ქალიშვილის – სოფიოს საქართველოდან საფრანგეთში ემიგრაციაში წასვლა მეუღლესთან და 6 წლის ქალიშვილთან ერთად, რომელიც პარიზში აღესრულა) ვერა ევგენის ასულმა ტუსიშვილი-ჩიჯავაძისამ ობოლი ბიჭების მოვლა-პატრონობა თავად იტვირთა.

ო, ჩიჯავაძემ 1937 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის მე-18-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაერიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა და რამდენიმე წელი იმუშავა კიდეც მათემატიკოსად. მისი დაინტერესება ქართული მუსიკითა და ფოლკლორით არ იყო შემთხვევითი, რადგან ის მას ჯერ კიდევ ბავშვობის წლებიდან ეზიარა; მაგრამ ბიძგი მის შემდგომ პროფესიულ დაინტერესებას მისცა მისმა საგაზეთო რეცენზიამ, რომელიც ეხებოდა ერთერთ ახალ გამოსულ ნიგნს. ო. ჩიჯავაძის მიერ დანერგულმა საფუძვლიანმა შენიშვნებმა აალაპარაკა ქართული სამუსიკო საზოგადოება. 1948 წელს იგი შედის კონსერვატორიის მუსმცოდნეობის ფაკულტეტზე, მუსიკის ისტორიისა და ფოლკლორის სპეციალობით და აქვე გადის ასპირანტურის სრულ კურსს ორივე სპეციალობით, პროფესორების – ლ. დონაძისა (მუსიკის ისტორია) და გრ. ჩხიკვაძის (ფოლკლორი) ხელმძღვანელობით.

ამ პერიოდიდან იწყება მისი მეცნიერული მოღვაწეობა. მისი მრავალმხრივი სამეცნიერო შრომები დღესაც აქტუალურია ქართული იმუსიკალური ხელოვნებისათვის. ღრმა პროფესიონალიზმითა და მაღალმეცნიერული ღირებულებებით გამოირჩევა მისი სამეცნიერო შრომები, განსაკუთრებით კი — ქართული მუსიკალური ფოლკლორის კვლევის საქმეში. მას ღრმად ჰქონდა ჩაბეჭდილი დიდი ქართველი კლასიკოსის, ზაქარია ფალიაშვილის ანდერძად დატოვებული სიტყვები: “ყოველი ერის ზნე-ჩვეულება და ხასიათი სიმღერაში გამოიხატება; იმ სიმღერაში, რომელიც ათასწლეულების მანძილზე შეუქმნია და შთამომავლობისათვის გადაუცია”.

ქართული მიწისა და უნიკალური ხალხური ჰანგებისადმი უსაზღვრო სიყვარულმა ო. ჩიჯავაძე ფეხით შემოატარა საქართველოს ყველა კუთხე-კუთხუღი. მის მიერ ჩანერილი და გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიმღერის კრებულები ძვირფას შენაძენს წარმოადგენს ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების შესწავლისა და უკვდავყოფის საქმეში, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ამ დარგში მომუშავე ვერცერთი მკვლევარი. ო. ჩიჯავაძემ 1955 წლიდან მოყოლებული 53 ექსპედიცია მოაწყო; ჩანერა და ნოტებზე გადაიტანა 2000-მდე ქარ-

თული ხალხური სიმღერა. მოპოვებული მასალების საფუძველზე დადასტურდა იმერული ნადურების არსებობა. 1969 წელს – აჭარის ექსპედიციაში ო. ჩიჯავაძემ ოთხმინანი ნადურები ჩანერა. 1982 წელს სვანეთის ექსპედიციაში იშვიათი ჟღერადობის “სვანური სუფრული”, საერო საგალობელი “ო ქრისდემი” და შრომის სიმღერები დაადასტურა. ასევე დაამტკიცა ლეჩხუმურის ცალკე დიალექტად ცნობის მიზანშეწონილობა. მაგრამ ყველაზე საინტერესო 1957-58 წლების კახეთის ექსპედიცია იყო, რომელმაც მანამდე არსებული ფალიაშვილისეული „ჩაკრულოს“ ერთი ვარიანტის ნაცვლად კიდევ ექვსს მიაკვლია.

ოთარ ჩიჯავაძეს ეკუთვნის ასევე შემდეგი შრომები: “კახური ხალხური სიმღერები” (1962 წ.), “ქართული ხალხური სიმღერები” (1964 წ.), “მეგრული ხალხური სიმღერები” (19...), “XIX საუკუნის მუსიკალური კულტურა”, “ქართული სამუსიკო ნიშნები”, “საეკლესიო სიმღერის სწავლების მეთოდის შესახებ ძველ საქართველოში”, “ქართული მრავალმინანობის ზოგიერთი საკითხი”, “ქართული ხალხური ინსტრუმენტები”, “მიქაელ მოდრეკილის ერთი შენიშვნის შესახებ”, “ქართული ეპოსი ამირანზე”, “ქართული საგალობლების ვარიაციები”, “ქართული ხალხური სიმღერის პირველი რუსი შემკრებები და მკვლევარები”, “ქართული საბჭოთა მუსიკა 50 წლის მანძილზე”, “ია კარგარეთელის მუსიკალური შეხედულებანი” და სხვ. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია ო. ჩიჯავაძის ფუნდამენტური შრომა “XIX საუკუნის ქართული მუსიკალური კულტურა”, რომელსაც ქართული მუსიკის ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის და რომელიც დიდი ხანია კონსერვატორიის სტუდენტთა სახელმძღვანელოდ იქცა. სამწუხაროდ, ბატონ ოთარს არაერთი ნაშრომი დარჩა გამოუქვეყნებელი, მათ შორის, “ძველი ქართული სამუსიკო ენციკლოპედიური ლექსიკონი” (ვაჟა გვახარიასთან ერთად), რომლის გამოც აღფრთოვანება გამოხატეს აკადემიკოსებმა გიორგი ახვლედიანმა, აკაკი შანიძემ, შოთა ძიძიგურმა, პროფესორებმა ლადო დონაძემ, გრიგოლ ჩხიკვაძემ, შალვა ასლანიშვილმა. მათ ეს ნაშრომი მიიჩნიას ქართული მუსიკისმცოდნეობის უდიდეს მონაპოვრად. ეს ნიგნი დღესაც ელის დღის სინათლეს, იგივე შეიძლება ითქვას უნიკალურ “გურულ ნადურებზე”, რომლებიც ჩანერა და ნოტებზე გადმოიტანა ო. ჩიჯავაძემ.

ო. ჩიჯავაძის ერთ-ერთი საჯარო მოხსენების შესახებ საჭიროდ მიგვაჩნია, მისი უფროსი მეგობრისა და მასწავლებლის, პროფესორ შალვა ასლანიშვილის მიერ მიწერილი ბარათის ტექსტის გადმოცემა: “ჩემო ოთარ! ძალიან გამახარა შენმა გამოსვლამ 29.IX. ყველამ აღნიშნა

მოსხენების მთავარი აზრის — ეროვნული სიმდიდრის დამტკიცებისა და გამოყოფის მნიშვნელობა. დაე, ყველამ გაიგოს, რა ახასიათებს ჩვენს ერს. დიდი მადლობა. შენი შალვა ასლანიშვილი“.

გარდა ექსპედიციებისა და კვლევებისა, საინტერესოა სხვა მხარეც ო. ჩიჯავაძის მოღვაწეობისა. პირველყოვლისა, ეს იყო პედაგოგიური საქმიანობა, რომელსაც იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მის ლექციებში ჩანდა დიდი ერუდიცია, ქართული ენის ბრწყინვალე ფლობა, რომელიც არასოდეს შებლაღულა ბარბარიზმებით. იგი ერთნაირად უყვარდათ თავის ყველა სტუდენტს, კოლეგას, თავის დიდ სამეგობრო წრეს, რომელთა შორის იყვნენ მისი უფროსი კოლეგები და მასწავლებლები, აგრეთვე მისი ბავშვობისა და სიყრმის მეგობრები: იოსებ ნონეშვილი, ქეთევან ბურჯანაძე, ჯემალ გოკიელი, ვლადიმერ ახოზაძე, მიშა ჩირინაშვილი, კახი როსებაშვილი, თენგიზ ჩოჩუა, ოთარ გორდელი, ელეონორა ექსანიშვილი და სხვა მრავალი.

სახელმწიფო კონსერვატორიის გარდა, ო. ჩიჯავაძე მუსიკის ისტორიის კურსს კითხულობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე. მეორე მხარე მისი მოღვაწეობისა იყო მთარგმნელობითი და სარედაქტორო საქმიანობა. იგი სისტემატურად თანამშრომლობდა ბექდურ მედიასთან, იყო აქტიუალური სტატიების ავტორი, ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას კომპოზიტორთა კავშირში, იყო გამგეობის წევრი — მუშაობდა ფოლკლორულ სექციაში, მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებაში, ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით სამეცნიერო სესიებზესა თუ კონფერენციებზე.

აღსანიშნავია ო. ჩიჯავაძის პოეტური ნიჭი, რომელიც მის ლექსებში გამოიხატა.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქართულმა

სამუსიკო საზოგადოებამ ო. ჩიჯავაძის სამეცნიერო მოღვაწეობის არაერთხელ დააფასა: პირველად — 1969 წლის 26 აპრილს — თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა მისი 50 წლისტავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო. 1979 წლის 28 მაისს აღინიშნა 60 წლისთავი, 1990 წლის 30 მარტს — საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა ო. ჩიჯავაძის დაბადებიდან 70 და სამეცნიერო შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე.

ქართული კულტურისა და მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის ო. ჩიჯავაძეს 1979 წლის 7 დეკემბერს მიენიჭა “საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის” საპატიო წოდება. მის მოღვაწეობას მიეძღვნა სატელევიზიო და რადიოგადაცემები.

წლების წინ, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რატომ გადამწყვიტა ახალგაზრდა მათემატიკოსმა სპეციალობის შეცვლა, ქართული ფოლკლორითა და მუსიკით დაინტერესება, ო. ჩიჯავაძემ ასეთი პასუხი გასცა: მე მიჩვენება, რომ ხელოვნების ამ დარგში ყველაზე კარგად ჩანს ქართველი ხალხის სულიერი კულტურა, მისი მდიდარი საგანძური. არანაირი მეცნიერება არ იქნება ჭეშმარიტი, თუკი ეროვნულ საფუძველს ფასეულს ვერარას შემატებს. ფორმულა მაინც ფორმულაა. სხვაა სული და სხვაა ბუნება. სწორედ ამ გარემოებამ გამიადვილა მათემატიკის დათმობა“.

ო. ჩიჯავაძე 1998 წლის 21 მარტს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მას მრავალი ჩანაფიქრი დარჩა განსახორციელებელი.

ელისაბედ ნინუა

ოთარ ჩიჯავაძის გამოქვეყნებული ნაშრომები

ჩიჯავაძე, ოთარ. (1962). ქართული კახური ხალხური სიმღერები. I ნაწილი. თბილისი: ცოდნა. (ქართულ ენაზე, რუსული და ინგლისური რეზიუმეით)

ჩიჯავაძე, ოთარ. (1969). ქართული ხალხური სიმღერები. კახური. II ნაწილი. თბილისი: განათლება. (ქართულ ენაზე, რუსული და ინგლისური რეზიუმეით)

ქართული ხალხური სიმღერები. მეგრული. (1974). ჩიჯავაძე, ოთარ (შემდგენელი). თბილისი: ხელოვნება (ქართულ ენაზე, რუსული და ინგლისური რეზიუმეით)

ჩიჯავაძე, ოთარ. (1991). ქართული საეკლესიო გალობის სწავლების მეთოდის საკითხისათვის ძველ საქართველოში. კრებულში: ნურნუშია, რუსუდან (პ/მ. რედ.). ძველი ქართული პროფესიული მუსი-

კა. ისტორიისა და თეორიის საკითხები. (გვ. 61-66). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. (ქართულ ენაზე)

ჩიჯავაძე, ოთარ. (1997). ქართული ხალხური სიმღერის მოამაგენი. სამეცნიერო შრომების კრებულში: ნურნუშია, რუსუდან. (პ/მ რედ.). მუსიკისმცოდნეობის საკითხები. (63-77). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. (ქართულ ენაზე, რუსული და ინგლისური რეზიუმეით)

6. Чиджавадзе, Отар и Цагареишвили, Валериан. (1964). Грузинские народные песни. Москва: Музыка (ქართულ და რუსულ ენებზე)

7. Чиджавадзе, Отар. (1985). Грузинское народное многоголосие и европейская средневековая полифония. В сборнике: Жордания, Йосиф (сост. и ред.). Вопросы народного многоголосия. (გვ. 59-60). Тбилиси: Сабчота Сакарტველო (რუსულ ენაზე, ინგლისური რეზიუმეით)

წლიური სამეცნიერო ნაშრომები

შრომის სიმღერები დასავლეთ საქართველოში (1970-71) (87 გვ.)

კახეთი (ისტორიული მიმოხილვა) (1980) (18 გვ.)
ქართლ-კახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი) (1981) (47 გვ.)

სამეგრელოს ხალხური სასიმღერო შემოქმედება (1982) (25 გვ.)

ქართული ხალხური სიმღერის ლექსმწერი დიალექტი (1983) (45 გვ.)

ქართული ხალხური სიმღერის კახური დიალექტის ინტონაციური საფუძვლები (1985) (60 გვ.)

ქართული ხალხური სიმღერის კახური დიალექტის ინტონაციური საფუძვლები. II. შრომის სიმღერები (1986) (47 გვ.)

აფხაზურ-ქართული მუსიკალურ-ფოლკლორული ურთიერთობანი. I ნაწ. აფხაზურ-ქართულ ურთიერთობათა ისტორიულ-საზოგადოებრივი საფუძვლები (1987) (51 გვ.)

ქართულ-აფხაზური სამუსიკო-ფოლკლორული ურთიერთობანი. II ნაწ. (1988) (47 გვ.)

დ. არაყიშვილის ფოლკლორისტული მოღვაწეობა (1989-90) (190 გვ.)

სვანური ხალხური სიმღერის ადგილი ქართულ ხალხურ სასიმღერო შემოქმედებაში (1991) (43 გვ.)

ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა (1993-94) (93 გვ.)

ქართული სამუსიკო ფოლკლორისტიკის ნარკვევები (1994-95) (189 გვ.)

ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედება /ლექსმწერი სიმღერები/. 199?. სანოტო კრებული. ხელნაწერი. ინახება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში.

„ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ხალხური საკრავები. სამეცნიერო ნაშრომი. ხელნაწერი. ინახება საკრავების სახელმწიფო მუზეუმში.

ქართული ფოლკლორის ლექსიკონი. ხელნაწერი. ინახება ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში.

შრომის სიმღერები დასავლეთ საქართველოში. სანოტო კრებული. ხელნაწერი. ინახება ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში.

ოთარ ჩიჯავაძის მიერ ჩატარებული ექსპედიციები

1954 წ. — რაჭა (ონი)

1955 — ლეჩხუმი (უსახელო, ზუბი)

1957 — კახეთი (თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი, წითელწყარო)

1958 — კახეთი (სიღნაღი, ახმეტა, ყვარელი, თელავი)

1959 — თბილისში (მარო თარხნიშვილის ანსამბლი) სამეგრელო (ნალენჯიხა, ჩხორონწყუ, ზუგდიდი) სვანეთი (მესტია)

1960 — კახეთი (გურჯაანი)

სამეგრელო (ხოზი)

1961 — კახეთი (ყვარელი)

იმერეთი (ვანი, მაიაკოვსკი/ ბაღდადი)

1962 — იმერეთი (ზესტაფონი, ტყიბული)

თბილისი (დები იმხნელები)

კახეთი — (საგარეჯო, ყვარელი)

1963 — იმერეთი (ჭიათურა, საჩხერე)

1964 — გურია (ლანჩხუთი, ჩოხატაური)

1965 — გურია (ჩოხატაური,

კახეთი (გურჯაანი)

1966 — გურია (ოზურგეთი)

1967 — სამეგრელო (ზუგდიდი, სენაკი/ცხაკაია)

ბორჯომი (ახალდაბა, წაღვერი, კორტანეთი, მზეთამზე)

1969 — აჭარა (ბათუმი, ქობულეთი, ხულო, შუახევი, ქედა)

ქართლი (ბოლნისი)

1970 — სამეგრელო-აფხაზეთი

1971 — ლეჩხუმი

რაჭა

1972 — იმერეთი (ხარაგაული)

1973 — იმერეთი (ტყიბული, ბაღდადი/მაიაკოვსკი)

კახეთი (ახმეტა)

1978 — სამაჩაბლო (ლენინგორის რ-ნი/ახალგორი)

1979 — კახეთი (წითელწყარო, სიღნაღი)

სამაჩაბლო (ჯავა, ზნაური)

1980 — ქართლი (ქარელი)

1982 — ლეჩხუმი

1983 — ქვემო ქართლი (თეთრიწყარო)

1984 — კახეთი (თელავი)

1986 — კახეთი (ახმეტა)

ქართული ხალხური მრავალხმიანობა და ევროპის შუასაუკუნეების პოლიფონია

ოთარ ჩიჯავაძე

ხელნაწერი

ქართულ ხალხურ მრავალხმიანობასა და შუასაუკუნეების ევროპულ პოლიფონიას შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ახალი არ არის. ჯერ კიდევ 1886 წელს თავის წერილში „ქართული მუსიკა“, განიხილავდა რა კავშირებს

აღმოსავლეთისა და ევროპულ ხალხთა სამუსიკო ხელოვნებათა შორის, ილია ჭავჭავაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ქართული სიმღერა და გალობა ევროპულს არ ჰგავს. ეგ აშკარაა და ამას არავითარი დამტკიცება არ სჭირია“. მაგრამ „ჰგავს კი აზიურსა. ჩვენ აქ სახეში გვაქვს ქართული საერო თუ საეკლესიო, ბანით საგალობელი

და არამარტო სათქმელნი“. (სქოლიო: “ქართული ხალხური მუსიკა“. თბილისი. 1941. ტ. II. გვ. 131). აქედან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძე სავსებით ბუნებრივად მიდის ქართული სიმღერის თვითმყოფი ხასიათის აღიარებამდე.

თუმცა, აქ საკითხი შეეხება ხალხურ მუსიკას, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ ამცირებს ი. ჭავჭავაძის მიერ გამოთქმული მოსაზრების მნიშვნელობას, რამდენადაც, უფრო ადრე, იგივე მოსაზრება გამოითქვა საეკლესიო მუსიკის მიმართაც. კერძოდ, 1864 წელს, ნარკვევში “ქართველთა ზნეობანი“ (ჟურნალი “ცისკარი“) დავით მაჩაბელი მიუთითებდა, რომ ქართულ საეკლესიო გალობას უკავია საშუალო ადგილი ერთხმის ბერძნულსა და მრავალხმის იტალიურ (კათოლიკურ) გალობათა შორის და, ამასთანავე, ქართული გალობისათვის დამახასიათებლად მიაჩნდა სამხმინი ნყოფა.

ამ საკითხს უფრო დანვრისებით შეეხო ცნობილი გერმანელი მკვლევარი ზიგფრიდ ნადელი, რომელმაც შეძლო გერმანიაში მყოფ ქართველ ტყვეთაგან, რომელთაც იქ მოუხდათ ყოფნა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ჩაენერა ქართული ხალხური სიმღერები და ამ სიმღერათა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გარკვეული დასკვნები გამოეტანა.

მკვლევარის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა საკითხი ქართული მრავალხმისობის შესახებ და მის ურთიერთობაზე შუასაუკუნეების ევროპულ პოლიფონიასთან. მისი აზრით, საქართველოს ამ პოლიფონიას არაფერი გააჩნია საერთო თავის კულტურულ მეზობლებთან; აღმოსავლეთს, საბერძნეთსა და სომხეთის საეკლესიო მუსიკას არ შეუქმნია მონათესავე ფორმები. ეს შეფარდებითი განცალკევებულობა მეტყველებს დასავლეთის გავლენის წინააღმდეგ, რომელსაც ასეთივე ზომით უნდა მოეხდინა ზემოქმედება სომხეთს, საბერძნეთს ან სირიაზე. შემდეგ ჩვენ ვიცით, ქართულმა საეკლესიო მუსიკამ შეიძინა საერო მუსიკის თვისებები და არა პირიქით, რაც სავსებით შეესაბამება ხალხის ჯიუტ ერთგულებას მის წარმართულ ჩვეულებებთან“ (სქოლიო: “ქართული სიმღერები“. 1933. გვ. 44-45. გერმანულ ენაზე). და მართლაც, თუკი ქართულმა ეკლესიამ შეძლო ბერძნული ერთხმის გალობისათვის დაეპირისპირებინა ეროვნული მრავალხმისი გალობა და განედევნა იგი საეკლესიო მსახურებიდან, ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ ქართული ხალხური სიმღერის წყალობით. სავსებით გასაგებია, რომ ისტორიულად ისეთი მოკლე დროის განმავლობაში, როგორც არის 400 წელი, ყოველად შეუძლებელია, სრულიად ახალი და, მით უფრო, მრავალხმისი სტილის შექმნა, თუკი სამუსიკო პრაქტიკაში საამისოდ სათანადო ნიადაგი არ არსებობს. მაგრამ ასეთი ნიადაგი საქართვე-

ლოში აღმოჩნდა ხალხური სიმღერის სახით, რომლის გამოყენებაც ქრისტიანული ეკლესიის მიზნებისათვის ადრევე დაიწყო ეკლესიის მამებმა. “წარმართული დღესასწაულებისა და სიმღერების წინააღმდეგ მიმართული ხანგრძლივი და უნაყოფო ბრძოლის შედეგად, ქართულმა ეკლესიამ ხელი აიღო წარმართული სასიმღერო კულტურის დევნაზე და შეეცადა, მისი ჰანგები გამოეყენებინა საეკლესიო საგალობლებში“ (პ. კარბელაშვილი. “ქართული საერო და სასულიერო კილოები“. 1898. გვ. 10-11).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული საეკლესიო მუსიკის არსი განისაზღვრა ხალხური სიმღერით. მით უმეტეს, რომ საეკლესიო საქმიანობაში დაინერგა არამარტო ხალხური ჰანგები, არამედ წარმართული წეს-ჩვეულებანიც, ლიტურგიკული დრამის სახით. ყოველივე ეს ხელს უწყობდა საეკლესიო პრაქტიკაში ეროვნული ელემენტების დამკვიდრებას. შემთხვევით არ არის ნათქვამი, რომ “ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების, ხოლო “კვირიელისონი“ ბერძნულად ითქუმის“ (გიორგი მერჩულე. “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. “ქართული პროზა. ნიგნი I. 1981. “საბჭოთა საქართველო“. გვ. 46-47).

ცნობილია, რომ ანტიოქიის საპატრიარქოს დელეგაციამ, რომელიც X საუკუნეში იმყოფებოდა თბილისში, მოახსენა მბრძანებელს, რომ იგი უდიდესი გაცემით უსმენდა თბილისის სობორში მრავალხმის გალობას“ (ზ. ნადელი. “ქართული სიმღერები“. 1933. გვ. 46-47).

ისმის საკითხი, თუ როგორი იყო ქართულ-ევროპული ურთიერთობანი.

XIII საუკუნიდან დასავლეთევროპული სახელმწიფოები ახლოს გაეცნენ საქართველოს. ჯერ კიდევ XII საუკუნეში სავაჭრო კაპიტალის ექსპანსია ხელს უწყობდა შავი ზღვის სანაპიროზე ვენეციელთა და გენუელთა კოლონიების წარმოქმნას. მათი გავლენა მალე კასპიის ზღვამდეც გავრცელდა. ამიტომაც შემდგომში საქართველოს სავაჭრო გზებს უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა.

დასავლეთ ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის გაძლიერებას ხელს უწყობდნენ კათოლიკური მისიები.

XVI საუკუნეში შეინიშნება ურთიერთობათა შესუსტება, მაგრამ XVII საუკუნის მეორე ნახევარში სავაჭრო ურთიერთობანიც იწყებენ გაძლიერებას. ამ ურთიერთობებს ახორციელებენ მისიონერები, ვაჭრები და მოგზაურები. მისიონერთა მოღვაწეობა საქართველოში ნაყოფიერ ნიადაგს პოულობს, რამდენადაც, საქართველოს გამგებლები მზად იყვნენ, ქართული ეკლესია დაექვემდებარებინათ რომისათვის, ოღონდ

კი მიეღოთ დახმარება მუსულმანური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში.

მისიონერები აქტიურად ებმებოდნენ საქართველოს პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში: ისინი გვევლინებიან საქართველის მეფის პოლიტიკურ მრჩეველებად და საიდუმლო აგენტებად. მათ მოღვაწეობას საქართველოში, რა თქმა უნდა, გააჩნდა პოლიტიკური შედეგები, რამდენადაც ისინი ხელს უწყობდნენ საქართველოს გაერთიანებას ისლამის გავლენის შესუსტების მიზნით.

თუმცა, საქართველოსა და ევროპას შორის პოლიტიკური კავშირი მყარი არ იყო, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მხრივ, რომ საქართველო გაეცნო ევროპასა და მის მიღწევებს კულტურის დარგში.

ამ ურთიერთდამოკიდებულებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაზე. ევროპული ლიტერატურა, ხელოვნება და, კერძოდ, მუსიკაც მისაწვდომი გახდა ქართველთათვის. მაგრამ კვინტური ორგანუმი, რომელიც საეკლესიო სამუსიკო თეორიაში შემოღებულ იქნა მხოლოდ X საუკუნეში, ორგანუმის თავისუფალი ტექნიკა და დისკანტი, ტერციისა და სექსტის გამოყენება (XII-XIII ს.) და, საერთოდ, სამხმინანობა, ე.ი. ყველა იმ ფორმას, რომლითაც მდიდრდება ევროპული საეკლესიო მუსიკა, მხოლოდ XIII და XV საუკუნეებში უნდა მოეხდინა ქართულ მუსიკაზე გავლენა, მაგრამ, ჯერ ერთი, ორგანუმი და მრავალხმინანობა(სამხმინანობა) უკვე არსებობდა

საქართველოში მანამდე, ვიდრე ის დასავლეთიდან შემოვიდოდა. ეს ფორმები საქართველოში უფრო ადრე აღმოცენდა, ვიდრე თვით დასავლეთის სასულიერო მუსიკა. საეკლესიო საგალობლები საქართველოში სრულდებოდა ევროპული მუსიკის (რომელიც ჯერ კიდევ ერთხმინანი იყო) მრავალხმინანობით გამსჭვალვის პერიოდში; მეორე მხრივ, გავლენის შემთხვევაში, საქართველოში უნდა შემოსულიყო ევროპული მუსიკის განვითარების სხვა ფორმებიც — მენზურალური ინტონაცია, კანონის ტექნიკა და სხვა; მესამე მხრივ, განსახილავ პერიოდში ქართულ მონასტრებს, რომლებიც დაცემას განიცდიდნენ, არ შეეძლოთ დასავლური მრავალხმინანობის დამამკვიდრებელთა როლი ეთამაშათ.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ტროქეულ-გამახვილებული ზომანყვილადი რიტმი, რომელსაც ვხვდებით ქართულ სიმღერაში, განხილულ უნდა იქნას, როგორც შედარებით ადრეული, ქრისტიანული მეტრო-რიტმული სტრუქტურის კუთვნილება.

თუკი მხედველობაში მივიღებთ ყოველივე ზემოთქმულს, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ საქართველომ მრავალხმინანობა შეიძინა არა გამკვლელ ინდოგერმანელთაგან, არამედ იგი შექმნა თვით საქართველოს ნაყოფიერმა კულტურამ. ეს სავსებით ნათელია აგრეთვე იმის გამო, რომ თვით ქართული მრავალხმინანობის ტიპს საერთო არაფერი გააჩნია ევროპული მუსიკისათვის დამახასიათებელ იმიტაციურ მრავალხმინანობასთან.

საქართველოს ფოკლორული კოლექტივები

ფოლკლორული ანსამბლი „ზედაშე“

მარიამ ხარძიანი

ფოლკლორული ანსამბლი „ზედაშე“ ჩამოყალიბდა 1998 წელს ქალაქ სიღნაღში ქეთევან მინდორაშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლი შერეული შემადგენლობისაა და რვა კაცისაგან შედგება, რომელთაგან ექვსი კახელია, ორი — სვანი. ანსამბლის რეპერტუარში შედის როგორც ხალხური სიმღერები, ისე საეკლესიო საგალობლები. აღსანიშნავია, რომ „ზედაშეს“ წევრების უმრავლესობა ტრადიციული, მომღერალი ოჯახებიდანაა, ხოლო ანსამბლის სამი წევრი, მათ შორის, ხელმძღვანელიც, გამოცდილი მგალობელია. ეს მნიშვნელოვნად განაპირობებს ანსამბლის მიერ ხალხური სიმღერებისა თუ საგალობლების შესრულების პროფესიულ დონეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფოლკლორულ კოლექტივს ჰყავს ორი პროფესიონალი

მოცეკვავე, გარდა ამისა, ანსამბლის წევრები ფლობენ სხვადასხვა ხალხურ საკრავს, შესაბამისად, მათთვის ხელმისაწვდომია, როგორც, ხალხური სასიმღერო, ისე საცეკვაო და ინსტრუმენტული მუსიკის მრავალფეროვანი ნიმუშები.

საინტერესო და საგულისხმო ფაქტია, რომ ქეთევან მინდორაშვილის მეუღლე — ჯონ ვურდემანი — ამერიკელი გახლავთ. პროფესიით მხატვარი, რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა სტუმრად საქართველოში და იმდენად მოიხიბლა ჩვენი ქვეყნის ბუნებითა და კულტურით (განსაკუთრებით, მუსიკალურით), რომ გადაწყვიტა სახლი შეეძინა სიღნაღში, იქ დასახლებულიყო და საქართველოში გაეგრძელებინა თავისი საკმაოდ წარმატებული კარიერა. ამას მოჰყ-



ვა მართლმადიდებლური ნათლობა, დაქორწინება სიღნაღელ ქეთევან მინდორაშვილზე და ამერიკულ-ქართული ოჯახის შექმნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯონის მაგალითს არაერთმა ამერიკელმა ხელოვანმა მიბაძა, სიღნაღელში დასახლდა და ქართველებზე არანაკლებ გულშემმატივრობს ქართულ ტრადიციებსა და კულტურას.

სწორედ ჯონს მიუძღვის ლომის წილი ანსამბლ „ზედაშეს“ ჩამოყალიბებაში. მართალია ქეთევანი თავის თანამოაზრეებთან ერთად მანამდეც ეწეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას, მაგრამ ჯონის უშუალო მონაწილეობით, მისი მორალური და ფინანსური მხარდაჭერით, მოენყო არაერთი ექსპედიცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, გაიმართა კონცერტები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ჩაინერა კომპაქტდისკები. ერთი სიტყვით, ანსამბლმა „ზედაშემ“ საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა სხვა ფოლკლორული კოლექტივების გვერდით.

გთავაზობთ ინტერვიუს ანსამბლ „ზედაშეს“ ხელმძღვანელთან — ქეთევან მინდორაშვილთან.

მ.ხ. — თუ შეიძლება, გაგვაცანით ანსამბლის შემადგენლობა.

ქ.მ. — ამჟამად ანსამბლის შემადგენლობა ასეთია: ქეთევან და შალვა მინდორაშვილები, თამილა სულხანიშვილი, შმაგი და შერგილ ფირცხელანები, თამარ ბერიძე, ერეკლე კანჭურაშვილი და ეკატერინე თარალაშვილი. მათგან უმ-

რავლესობა ერთმანეთს ნათესავად ერგება, შეიძლება ითქვას, რომ ანსამბლი ერთ დიდ ოჯახს წარმოადგენს.

მ.ხ. — რატომ დაარქვით ანსამბლს „ზედაშე“?

ქ.მ. — ზედაშეს საქართველოში იმ ადგილს უწოდებენ, სადაც ესათუის გვარი ცხოვრობდა უხსოვარი დროიდან. ზოგჯერ, ეკოლოგიური კატასტროფის ან ომის დროს, ამ ოჯახს უწევდა საცხოვრებლის მიტოვება და სხვაგან დასახლება, თუმცა წმინდად მიაჩნდა და არ ივინყებდა თავის ისტორიულ საცხოვრისს; მიდიოდა იქ ქორწინების დღეს, ასევე, ყველა მნიშვნელოვანი საქმის წამოწყების წინ, წინაპრებისაგან ლოცვა-კურთხევის მისაღებად. გარდა ამისა, თითქმის ყველა ოჯახს სახლთან ახლოს, მიწაში, დაფლული ჰქონდა ქვევრი, რომელშიც ინახავდნენ ტაძრისათვის შესანიშნავს ზეთს, ხორბალს, ღვინოს. ამ უკანასკნელს ასევე, ზედაშე ეწოდებოდა. დღესაც ნახავთ ზედაშეებით შეფენილ სიღნაღის ფერდობებს, რომლებიც მათ პატრონებს წინაპრების ხსოვნას და პატივისცემას ავალეებს.

სწორედ ტრადიციების ერთგულება, გაფრთხილება, აღდგენა და შენარჩუნებაა ანსამბლის მიზანი და ამან განაპირობა მისთვის „ზედაშეს“ წოდება.

მ.ხ. — დღეს საქართველოში მრავალი ფოლკლორული ანსამბლია. რითია გამორჩეული „ზედაშე“?

ქ.მ. — დავინყოთ იქიდან, რომ ანსამბლის ყველა წევრი ხალხურ გარემოშია გაზრდილი, ძირითადად ტრადიციულ, მომღერალ ოჯახებში, მათ ამჟამადაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ გლეხებთან. გარდა ამისა, როგორც იცით, თანამედროვე ფოლკლორული ანსამბლები ან მამაკაცთა ან ქალთა. „ზედაშე“ კი შერეული შემადგენლობის ანსამბლია და ასეთი შემადგენლობით ასრულებს ყველა სიმღერას — მიუხედავად მათი ჟანრისა და რეპერტუარული კუთვნილებისა.

მ.ხ. — ეს მართლაც უჩვეულოა თანამედროვე ფოლკლორული ანსამბლების ფონზე. ნუთუ არ არჩევთ რეპერტუარს კონკრეტულად შერეული შემადგენლობისათვის?

ქ.მ. თავდაპირველად ჩვენც მიგვაჩნდა, რომ სიმღერა ან მხოლოდ ქალებს, ან მამაკაცებს უნდა შეესრულებინათ. თუმცა, როგორც უშუალოდ ეთნოფორებისაგან შევიტყვეთ და მომღერალი ოჯახებიდან გამოსული ანსამბლის წევრებმაც დაადასტურეს, ოდითგან საქართველოში ქალები და მამაკაცები ერთად მღეროდნენ. ამის მიზეზი, პირველ რიგში, იყო სიმღერების ოჯახური შესრულება კერასთან, სუფრასთან თუ მინდორში. მაგალითად, ანდრო პაპას (სიმამშვილი) გაუკვირდა ჩვენი კითხვა ამის შესა-

ხებ და ასეთი რამ გვითხრა: „დილას ქალებთან ერთად მივდიოდით მინდორში, ერთად ვიღებდით ხორბალს, თან შრომის სიმღერებს ვამბობდით, ერთად ვქეიფობდით და ერთად ვბრუნდებოდით დალილები სახლში. სად იყო იმდენი ბიჭი, რომ მარტო ჩვენ გვემუშავა და ქალებს მხოლოდ საქმელი ეკეთებინათ“. იგივე თქვა ილია აფშილავამ. ამაში დაგვარწმუნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოწყობილმა ექსპედიციებმაც. სიმღერაში ხმები ირჩევა იმის მიხედვით, თუ რომელი ხმა უფრო უხდება კონკრეტულ შემთხვევას, ქალის თუ მამაკაცის. ჩვენც ამ ტრადიციების კვალდაკვალ წავედით და ამ მხრივ, მიმაჩნია, რომ ჩვენი ანსამბლი ნამდვილად ერთ-ერთი გამორჩეულია.

რასაკვირველია, არსებობს კონკრეტულად ქალთა ან მამაკაცთა რეპერტუარის სიმღერები, მათი სოციალური ფუნქციის მიხედვით, მაგ: ნანები — ქალების, სალაშქრო-საბრძოლო სიმღერები — მამაკაცებისათვის, თუმცა, როგორც აღვნიშნე, ქართული ხალხური სიმღერების უმრავლესობა ქალთა და მამაკაცთა მიერ ერთად იმღერებოდა. ჩვენც სწორედ ამგვარ სიმღერებს ვარჩევთ რეპერტუარისათვის.

მ.ხ. — თქვენს რეპერტუარში არის როგორც ხალხური სიმღერები, ისე საგალობლები. ტაძარში თუ გალობთ?

ქ.მ. — მე, ჩემმა ძმამ — შალვამ და ბიძაშვილმა — თეა მინდორაშვილმა 1994 წლიდან დავიწყეთ გალობა ბოდბის მონასტერში დედა თეოდორასთან (მონასტრის ილუმენიასთან). ეს იყო დრო, როცა ქართული საგალობლების სანოტო ჩანანერების მოპოვება თითქმის შეუძლებელი იყო. საპატრიარქოს დახმარებით შევისწავლეთ სასულიერო მუსიკის არაერთი ნიმუში. გარდა ამისა, დედა თეოდორას ჰქონდა საკუთარი ხელით გადაწერილი საგალობელთა პატარა კრებული, რომელსაც წყაროს მოწყურებული ირმებივით დავეწაფეთ. მოგვიანებით, როცა ამ მონასტერში დედებმა დაიწყეს გალობა, ჩვენ გადავედით სიღნაღის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, სადაც შემოგვიერთდნენ ანსამბლის სხვა წევრებიც და დღემდე იქ ვმოღვაწეობთ. შესაბამისად, ჩვენს რეპერტუარშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საეკლესიო საგალობლებს.

მ.ხ. — საიდან არჩევთ სიმღერებს რეპერტუარისათვის?

ქ.მ. — ჩვენ მოვიარეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. რა თქმა უნდა, ძალიან გვიხარია, როცა ამ ექსპედიციების დროს ვპოულობთ რამე იშვიათ ნიმუშს, რომლითაც აუცილებლად ვამდიდრებთ რეპერტუარს. გარდა ამისა, ზოგიერთ კუთხეში დავუმეგობრდით ცნობილ ლოტბარებს, რომლებიც სიამოვნებით გვასწავლიან სიმღერებს; გვერდს ვერ ავუვლით ასევე უძვე-



ლეს ჩანანერებს, საიდანაც არაერთი ნიმუში შევიდა ჩვენს რეპერტუარში. მინდა ყურადღება გავამახვილო კიდევ ერთ ფაქტზე. ყოფილა შემთხვევა, როცა რომელიმე რუსი კომპოზიტორის ჩანანერებში აღმოგვიჩენია ქართული ხალხური სიმღერის ნაწყვეტი, კონკრეტული კუთხისა და ჟანრის მითითებით, თუმცა, სიზუსტეს მოკლებული. ასეთ შემთხვევაში, ვცდილობთ შევადავროთ აღნიშნული ნიმუში იმ კუთხისათვის ტიპურ ნიმუშებს, აღვადგინოთ მისი პირვანდელი სახე და შევასრულოთ. ისეთი შემთხვევაც მახსოვს, როცა სამი მოხუცი შემსრულებლიდან ერთი გარდაცვლილა და მისი ხმა არ ახსოვდათ. გამოსავალი ორია: ეს სიმღერა ან უნდა დაიკარგოს, ან უნდა აღდგეს. ჩვენ ხშირად აღგვიდგენია ამგვარი სიმღერები და სპეციალისტების განცვიფრება და მოწონებაც დაგვიმსახურებია.

მ.ხ. — რომელ კუთხეებს ანიჭებთ უპირატესობას?

ქ.მ. — როგორც მოგესხენებათ, ანსამბლი დაკომპლექტებულია კახელებითა და სვანებით, ამიტომ, ბუნებრივია, ამ ორი კუთხის სიმღერების სიჭარბე ჩვენს რეპერტუარში. ისიც უნდა ითქვას, რომ ისტორიულად ქიზიყი და ზემო სვანეთი საქართველოს ორი უბატონო კუთხე იყო. მართალია, სასიმღერო შემოქმედება განსხვავებული აქვთ, მაგრამ ხასიათით ამ კუთხის შვილები იმდენად ახლოს დგანან, რომ ერთმანეთის რეპერტუარი ანსამბლის სვანმა და კახელმა წევრებმა მშობლიურვით მიიღეს და გაითავისეს. თუმცა, მრავალფეროვნებისათვის

ჩვენ მეგრულ, გურულ, მოხევეურ, თუშურ და სხვა კუთხეების სიმღერებსაც ვმღერით.

მ.ბ. — ჩვენ ვიცით, რომ ანსამბლის წევრები სხვადასხვა ხალხურ საკრავებზე უკრავენ.

ქ.მ. — შეიძლება ითქვას, რომ ანსამბლი ფლობს თითქმის ყველა ხალხურ საკრავს, რომელიც დღევანდელ პრაქტიკაშია გამოყენებული: ჩონგურს, ფანდურს, ჭუნირს, ჩანგს, ჭიბონს, გარმონს, დოლს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ამ საკრავთაგან ერთ-ერთს — ჭუნირს თვით ანსამბლის წევრები — ძმები ფირცხელანები ამზადებენ და ჩვენი აზრით, მათ თაობაში საუკეთესო მეჭუნირეებიც არიან.

მ.ბ. — რას გვეტყვი ანსამბლ „ჯლეხას“ შესახებ?

ქ.მ. — დაახლოებით 4 წლის წინ ჩემი და ჩემი ძმის — შალვა მინდორაშვილის ინიციატივით ჩამოყალიბდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჯლეხა“, რომელშიც, სხვებთან ერთად ანსამბლ „ზედაშეს“ 5 წევრი ცეკვავს. თვით „ზედაშეს“ ცეკვავს, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას სასიმღერო რეპერტუარი იძლევა. „ჯლეხა“ კი პროფესიონალ მოცეკვავეთა ქორეოგრაფიული ანსამბლია, რომელიც ქართულ ხალხურ ცეკვებს ასრულებს.

მ.ბ. — თქვენი მეუღლე ამერიკელია, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, სილნალში ცხოვრობს და მოლვანობს. ჩვენთან საუბარში მან ძალიან თავშეკავებულად შეაფასა საკუთარი წვლილი ანსამბლ „ზედაშეს“ ჩამოყალიბებაში. თქვენ რას იტყვი?

ქ.მ. — თუ სიმართლე გაინტერესებთ, სწორედ ჯონის დამსახურებაა ჩვენი ანსამბლად ჩამოყალიბება. ჯონმა უცხო თვალით, შორიდან შეგვახედა იმაზე, რაც ჩვენთვის ბუნებრივი და ტიპური იყო, რაც უბრალოდ გვიყვარდა და იმიტომ ვასრულებდით. ყურადღება მიგვაქცევინა ქართული ფოლკლორის უნიკალურობაზე. ჩვენამდე მას მრავალი ხალხური სიმღერა ჰქონდა მოსმენილი და გვარწმუნებდა, რომ ჩვენ განსაკუთრებულად ვმღეროდით. შემდეგ შემოგვთავაზა ჩვენი ნამღერის დაფიქსირება. ჯონის მხარდაჭერა რომ არა, ანსამბლის მოღვაწეობა არ იქნებოდა ასეთი ნაყოფიერი. მას აქვს საკუთარი სტუდია, სადაც ჩაინერა ჩვენი ხუთი ჩ, ჯონის ხელშეწყობითა და უშუალო მონაწილეობით მოვანყვეთ არაერთი ექსპედიცია საქართველოს მასშტაბით, გავიტანეთ ქართული ფოლკლორი უცხოეთში და ა.შ. მოგახსენებთ იმასაც, რომ ჩვენი ერთ-ერთი დისკი სახელწოდებით „ხიდები ღვთაებრივისკენ“, რომელიც მხოლოდ საგალობლებს მოიცავს, მხატვრულად სწორედ ჯონმა გააფორმა.

მ.ბ. — თქვენი კომპაქტდისკებიდან ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ორმა მათგანმა: ერთს ახლავს ნოტები, მეორეს კი ჩ

ლ. საიდან გაჩნდა ასეთი იდეა?

ქ.მ. — ჩვენს უცხოელ მეგობრებს და, ზოგადად, ქართული ფოლკლორით დაინტერესებულ არაერთ უცხოელს მოუმართავს ნოტებისა ან სხვა დამხმარე მასალის მიწოდების თხოვნით, ქართული ხალხური სიმღერების შესწავლის გადავიღებისათვის. სწორედ ამან განაპირობა გამოცემის ასეთი ფორმა: დისკს სახელწოდებით „ლაზარეს აღდგინება“ დავურთეთ ნოტები ქართულ-ინგლისური ტექსტებით, კომენტარებითა და ხალხურ საკრავებზე შესრულების ტექნიკის ილუსტრაციებით. ქართველებისათვის ეს, რასაკვირველია ნაკლებად აქტუალურია, მათთვის სიმღერების ზეპირი შესწავლა უფრო მარტივია, მაგრამ არარეალურია, უცხოელს ზეპირად ასწავლო მისთვის უჩვეულო და საკმაოდ რთული სიმღერები, განსაკუთრებით, სამხმიანი და, ასევე, ხალხურ საკრავებზე დაკვრა. ჩ ღ კი დართული აქვს დისკს სახელწოდებით „ცეცხლში ნანართობი“. ეს გახლავთ დისკზე განთავსებული სიმღერების სანოტო კრებულის კომპიუტერული ვერსია. ჩვენი აზრით, ამით უცხოელებისათვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გავხადეთ 22 ფოლკლორული ნიმუში. აქვე არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ დისკი „ცეცხლში ნანართობი“ მიუძღვნენ ჩვენს ახლადგარდაცვალებულ მეგობარს, კახაბერ ზარნაძეს, რომელმაც დავასწრო ფოლადის გამოწრთობის საოცარ პროცესს. ასოციაცია დაიბადა ქართულ ფოლკლორთან, რომელიც მართლაც ფოლადივით გამოიწრთო საქართველოს ისტორიულ ქარტეხილებში. ამიტომაც ვუნოდეთ დისკს „ცეცხლში ნანართობი“.

მ.ბ. — აღნიშნულ სანოტო კრებულში, გარდა სტანდარტული ნოტებისა, რომელიც ახლავს სიმღერების უმეტესობას, ზოგიერთ სიმღერას დართული აქვს „უცნაური ნიშნები“, როგორ განმარტავდით მათ?

ქ.მ. — ეს ჩემს მიერ შემუშავებული ე.წ. „ნევმებია“ ისევედასევე უცხოელებისათვის სიმღერების შესწავლის გასაადვილებლად. მათი შექმნა მაფიქრებინა პრაქტიკულმა პრობლემამ, რომელიც გვექმნებოდა უცხოეთში ე.წ. „ვორქ-შოფების“ დროს, განსაკუთრებით, ქართლ-კახური სუფრული სიმღერების შესწავლის პროცესში. მოგეხსენებათ, მათ საკმაოდ რთული ორნამენტის ახასიათებთ, რომლის შესრულება ხშირად ქართველებსაც უჭირთ. არაპრაქტიკული და არარეალური იყო ყველა იმ ნოტის ჩაწერა, რომელსაც მომღერალი ასეთი სიმღერების შესრულებისას იღებს, ეს ძალიან დააბნევედა მისი შესწავლის მსურველს. ამიტომ მივმართე მათი გამოსახვის მარტივ ნიშნებს. ესენია: სხვადასხვა სიგრძის ხაზები სხვადასხვა სიმაღლეზე, მცირე ზომისა და სხვადასხვა ფორმის ორნამენტები, ისრები და ა.შ., რომლებიც მოძრაობის დაწყე-

ბის სიმაღლეს, მიმართულებას, ფრაზების ხანგრძლივობას აღნიშნავენ და დანაწევრებულ ტექსტთან ერთადაა ჩანერილი (ილუსტრაცია ჩ დ-დან). უნდა ითქვას, რომ სტანდარტული ნოტებისაგან განსხვავებით, ამგვარი ჩანაწერიდან სიმღერას ვერ ისწავლი, თუ არ მოისმინე, ანუ, შესწავლა ფაქტობრივად, სმენით ხდება, ე.წ. „ნევემები“ კი აადვილებს მოსმენილის შესრულებას.

მ.ხ. — რას გვეტყვით ანსამბლის საკონცერტო მოღვაწეობის შესახებ?

ქ.მ. — შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ თბილისში სულ რამოდენიმეჯერ გამოვსულვართ. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი მიზანი გახლავთ არაიმდენად „ზედაშეს“ პოპულარიზაცია, რამდენადაც ქართული თესლის დაწერგვა და გაღვივება ახალგაზრდა თაობაში. ამავე მიზანს ემსახურებიან ჩვენი მეგობრები, რომლებიც ლოტბარებად წავიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის შორეულ სოფლებში, სადაც დიდი დეფიციტი იყო ხალხური შემოქმედებით დაინტერესებული ახალგაზრდებისა. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ჩასვლა ყვამდაში, უშგულში, კარკუჩში, შენაქოში, სადაც, გარდა იმისა, რომ კონცერტები გავმართეთ, ვესაუბრეთ ახალგაზრდებს იმის შესახებ, რომ საუბრე, რომელსაც ხშირად სხვაგან ვეძებთ, აქვე, ჩვენს გვერდითაა და ამას დანახვა სჭირდე-

ბა. ამგვარმა აქციებმა შედეგად ის გამოიღო, რომ გამრავლდნენ ხალხური სიმღერების შესწავლის მსურველები.

რაც შეეხება გასტროლებს, ანსამბლმა არაერთხელ იმოგზაურა ამერიკაში, გამართა კონცერტები ჰოლანდიაში, ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში. . .

მ.ხ. — სამომავლოდ რას გეგმავთ?

ქ.მ. — სამომავლოდ ბევრი კარგი ჩანაწერი და პროექტი გვაქვს, თუმცა, სანამ კონკრეტული სახე არ მიეცემათ, მათზე საუბრისაგან თავს შევიკავებ.

მ.ხ. — წარმატებებს გისურვებთ!

ანსამბლ „ზედაშეს“

მიერ გამოშვებული

კომპაქტ-დისკები:

„სადაც მთები სამოთხეს უერთდებიან“. ზედაშეს კულტურული ცენტრი. 2000

„ლაზარეს აღდგინება“. ზედაშეს კულტურული ცენტრი. 2002

„წინაპართა ნაკვალევზე“. ზედაშეს კულტურული ცენტრი. 2006

„ხიდები ღვთაებრივისკენ“. ზედაშეს კულტურული ცენტრი. 2007

„ცეცხლში ნაწოთობი“. ზედაშეს კულტურული ცენტრი. 2007

მეცნიერება

ქართული და ჩრდილო-კავკასიური ხალხური სიმღერების ურთიერთობის შესახებ

მაია გელაშვილი

ქართველ და ჩრდილო კავკასიელ ხალხებს უხსოვარი დროიდან მჭიდრო კულტურული კონტაქტები ჰქონიათ. ქართველ მთიელებს მჭიდრო ურთიერთობა მუდმივად ჰქონდათ ჩრდილოეთით მოსახლე თავიანთ მეზობელ ტომებთან თუ ხალხებთან: ხევსურებსა და თუშებს ვაინახურ მოსახლეობასთან, რაჭველებს—ყაბარდოელებთან და ოსებთან, სვანებს—აფხაზებთან და ყაბარდოელებთან. ამ ურთიერთობებმა გარკვეული გავლენა იქონიეს მათ მუსიკალურ შემოქმედებებზეც.

თავის დროზე შ. ასლანიშვილმა ნაშრომში „ქართველ კომპოზიტორთა ჰარმონიის საფუძვლები“—აღნიშნა ჩეჩნურსა და ქართულ მუსიკაში არატერციული აკორდების ბუნების მსგავსება და ამის საფუძველზე პირველმა დასვა საკითხი ქართველ და ჩრდილო კავკასიელ ხალხთა მუსიკალური კულტურების ნათესაობის შე-

სახებ (Груз. Муз. Культура 1957).

ვ. ახოზაძე ქართული (მეგრული და სვანური) მუსიკის აფხაზურ მუსიკაზე გავლენისა და ამ ხალხთა შორის მჭიდრო კავშირის შესახებ მსჯელობს ნაშრომში: „აფხაზური ხალხური მუსიკა“ (გვ 11-3).

გარკვეული მოსაზრებები აქვს გამოთქმული ვ. გვახარიას ამ ხალხთა სიმღერების საერთო მრავალხმიან სტრუქტურაზე. საუბრობს ერთიან ჰარმონიულ აზროვნებაზე, ანალოგიას ნახულობს კილოს სტრუქტურას, რიტმის მონაცვლეობას, საშემსრულებლო ტრადიციებსა თუ გადმოცემის ფორმებს შორის (ვ. გვახარია „ქართველ და ჩრდილო კავკასიელთა ხალხური მუსიკის უძველესი ურთიერთკავშირები“).

ამ საკითხს ეხება ნ. მაისურაძე ნაშრომში „კვარტული კადანსი ქართულ-აფხაზურ-ადიღურ სიმღერებში“. ის ადგენს ამ ხალხთა სიმ-

ლერების საკადანსო ფორმულებში საერთო ჰარმონიულ ელემენტებს. გამოთქვამს მოსაზრებას შორეულ წარსულში ქართულ-აფხაზურ-ადიღური ხალხური მუსიკის გენეტიკური ნათესაობის შესახებ.

ი. ჟორდანიას თავის წიგნში “ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა მრავალხმიანი კულტურების საერთაშორისო კონტექსტში” ცალკე ქვეთავად გამოყოფს ჩრდილო კავკასიური და აფხაზური მრავალხმიანობის საკითხს. აღნიშნავს, რომ მრავალხმიანი მღერის ტრადიციები მეტ-ნაკლებად ყველა კავკასიელ ხალხთან გვხვდება (გვ. 171-177).

ქართველ და ჩრდილო კავკასიელ ხალხთა რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები საკმაოდ ემსგავსება ერთმანეთს, რაც გვაფიქრებინებს შორეულ წარსულში მათ შორის მჭიდრო კონტაქტებზე.

შევჩერდებით იმ უძველეს სიმღერებზე, რომლებიც თავიანთი დანიშნულების გამო ინარჩუნებენ ყველა დროში თავიანთ ფუნქციასა და შინაარსს. ასეთ სტაბილურ სიმღერებად მივიჩნით აკვნის ნანები და სამგლოვიარო სიმღერები, რომლებმაც ხშირ შემთხვევაში არქაული პლასტები შემოგვინახეს.

ნანების წარმოშობის შესახებ მეტად საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ვ. ბარდაველიძეს. იგი მას უკავშირებს დიდი დედის კულტს: “ქალღვთაება ნანას სახელს თაყვანს სცემდნენ, როგორც წინააზიის, ისე კავკასიის ბევრ ხალხში. ბუნებრივია ხალხმა ნანას სადიდებელი სიმღერა გამოიყენა მის მხატვრულ სახესთან — აკვნის ნანასთან დაკავშირებით, ე. ი. დედობის თვისების გამომხატველი სიმღერისათვის” (ვ. ბარდაველიძე “1957).

საინტერესოა, რომ ქისტები ოჯახის დიასახლისს „წინ ნაანს“ უწოდებენ, რაც ნიშნავს ცეცხლის დედას. (ლ. მარგოშვილი “პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა”). ოსებთანაც ნანა დედის მოსაფერებელი სახელია.

ნანათა ბევრი მელოდია, (როგორც ქართული, ისე ჩრდილოკავკასიური) ჯდება მელოდიკის ერთ-ერთ უძველეს ტიპში: “ზედა საყრდენი ბგერის გამღერება და შემდგომი დაღმასვლა ქვედა საყრდენ ტონთან. ხშირად ასეთი ინტონირებისას კვინტა გვევლინება არა პირველ, არამედ მელოდიის მეორე ბგერად და აიღება აღმავალი ნახტომით. ეს ნახტომი მწვერვალისაკენ უშვებს სხვადასხვა ვარიანტებს” (მაზულ-ცუკერმანი. „მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი“).

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ჩარჩო ფართოვდება და სიმღერა იწყება V1 ან V11 ან V111 საფეხურიდან. კვინტურ ჩარჩოსთან ერთად ძალიან ხშირად კვარტულ ჩარჩო-

საც ვხვდებით.

ასეთი ტიპის ერთხმიანი სიმღერები მრავლად გვხვდება როგორც ქართულ, ისე ჩრდილო კავკასიურ სიმღერებში, იქნება ეს ნანები, სანესჩვეულებო თუ სამგლოვიარო სიმღერები.

მაგ.1. ხანცეგუაშე (ადიღური)

კვარტულ და კვინტურ ჩარჩოში მოთავსებული ასეთი ტიპის მელოდია ყველა ხალხის სიმღერებში შეიძლება შეგვხვდეს. მაგრამ აღსანიშნავი სხვა ფაქტია: ქართულ და ჩრდილო კავკასიის ხალხთა სიმღერებში კვარტა და კვინტა, მთავარ ტონთან ერთად ძირითად საყრდენ ტონებად აღიქმება და მათი მდგომარეობა კილოურ აზროვნებაში თანასწორუფლებიანია.

მაგ.2. დატირება (ყაბარდოული)

მსგავსი მოვლენა — ტონიკური ცენტრის გადაადგილება ხშირად გვხვდება ქართლ-კახურ ურმულებშიც.

მაგ.3. ურმული

ხშირად ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელთა სიმღერებში ადგილი აქვს ისეთ დამაბოლოებელ ნაგებობას, როდესაც თითქოსდა სრულიად მოულოდნელად სიმღერა თავდება ტონზე, რომელიც მთელი ნაგებობის მელოდიური ქარგის შექმნაში განსაკუთრებულ მონაწილეობას არ ღებულობდა. ასეთი რამ დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიელთა მელოდიებისთვისაც,

აქვე თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, შემდეგ სურათს მივიღებთ: ზოგადად საქართველოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიელთა მუსიკალურ შემოქმედებაში მსგავსი მელოდიური ტიპი არსებობდა (უძველესი სიმღერების — ნანების, ტირილების და სარიტუალო სიმღერების მაგალითზე), ხოლო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში არსებობდა ასეთივე და ამავე დროს განსხვავებული ტიპის მელოდია (ასეთ სიმღერებს ახასიათებთ საყრდენთა გადანაცვლება, კვარტული ან კვინტური ნახტომი დამაბოლოებელ ნაგებობაში, ოქტავური ჩარჩო).

ცხადია, მელოდიათა სხვადასხვა ტიპმა მრავალხმიანობის განსხვავებული სახეები გამოიწვია.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში ბურღონულ მრავალხმიანობას ვხვდებით.

მაგ.4. ალილო (კახეთი)

ქისტურ საკულტო სიმღერებშიც ასეთ მრავალხმიანობას შევხვდით, რაც მუსლიმურ “გალობაში” არსად არ გვხვდება (მუსლიმანური რელიგიური სიმღერა ერთხმიანია). ამან კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა ის აზრი, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიელთა მრავალხმიანი მღერის ტრადიციები უძველესი დროიდან მომდინარეა.

დღევანდელ დღეს მსგავს, იდენტურ მელო-

დიებს ვხვდებით თუშურ, ქისტურ, ჩეჩნურ და დაღესტნურ სიმღერებში.

შ. ასლანიშვილი აღნიშნავდა, რომ თუშურმა ხალხურმა სიმღერამ გაამდიდრა თავისი მუსიკალური შემოქმედება ახალი ინტონაციებითა და ახალი მელოდიებით — მხედველობაშია ჩრდილო-კავკასიური და აზერბაიჯანული.

რაც შეეხება დასავლეთის მხარეს, მსგავსება შეინიშნება აფხაზურ, ჩერქეზულ, ოსურ და დასავლეთ საქართველოს (კერძოდ მეგრულ) სახუმარო სიმღერებს შორის. შესრულების ასეთი ფორმა, როდესაც ოსტინატური ბანის პარტიას ენაცვლება სოლისტი, საერთოდ დამახასიათებელია აფხაზური, ადიღური და ოსური ხალხური სიმღერებისთვის.

თუმცა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ მუსიკაში მრავალხმიანობამ განსაკუთრებული და თავისებური სახე მიიღო, სადაც ხშირია კვინტური და ოქტავური პარალელიზმი.

სამხმიან სიმღერებში ახალი ხმის გაჩენა ზედა ხმის ქვედა ოქტავური გაორმაგებით მოხდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ოსური სიმღერა.

მაგ.5. ცარაზონტი (ოსური)

ხმების პარალელური მოძრაობით ამგვარი სიმღერები სვანურ სიმღერებს უახლოვდება, მაგრამ ზოგჯერ მისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. თუ სვანურ სიმღერებში კვინტური პარალელიზმი ბანსა და ზედა ხმას შორის გვხვდე-

ბა, აქ ხშირად ეს ხმათასვლა მეზობელ ხმებში იჩენს თავს.

მაგ.6. ლილე (სვანური)

მაგ.7. საგმირო სიმღერა (ადიღური)

საზოგადოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში, ისევე როგორც საქართველოში, მრავალხმიანობის თვალსაზრისით, მკვეთრად იმიჯნება დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარეები. ამავე დროს კავშირი შეინიშნება, ერთი მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისა და მეორეს მხრივ, დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მხარეებს შორის. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ საქართველოში მსგავსი — ბურდონული მრავალხმიანობა გვხვდება, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისა და დასავლეთ საქართველოში პარალელური მრავალხმიანობა, თუმცა კი გარკვეულად განსხვავებული (დასავლეთ საქართველოს მრავალხმიანობას ამ შემთხვევაში წარმოადგენს ჩრდილოელთა მეზობელი — სვანური მრავალხმიანობის ტიპი).

ბოლოს კი დავძენთ, რომ ასეთი ტიპოლოგიური მსგავსება და ურთიერთკავშირი შორეული ნათესაობისა და კულტურული კონტაქტების შედეგია.

სანოტო მაგალითები

მაგ.1.



მაგ.2.

მაგ.3.

შე - ნი ჭი - რი-მე კა - მე - ჩო (და)

შენ სად გა - თრი - ო მარ - ხი-ლო (და)

აგ - რე - თი სა - ქმე არ - მი - ყო გა - თე - ნე - ბამ - დი

მალ - ხი - ნო (და)

მაგ.4.

ოც - და - ხუთ - სა ამ თვე - სა

მაგ.5.

მაგ.6.

ო, ლი-ლე-ო ის-გვა - მი დიდა-ბი-ო, რინ-გო - და ში-ლე და ი

მაგ.7.

მეორე სიცოცხლეც რომ მქონდეს, ამ საქმეს დაუთმობდი

ინტერვიუ ანსამბლ „შგარიდას“
ლოტბარ გურგენ გურჩიანთან

ბატონო გურგენ, მოგესალმებით. დიდი ხანია, სურვილი მქონდა თქვენთან შეხვედრისა. თუ შეიძლება, მოგვითხრეთ ორიოდ სიტყვით თქვენს შესახებ, და კიდევ — რამ განაპირობა თქვენი სიმღერით დაინტერესება?

პირველ რიგში, მადლობა მინდა მოგახსენოთ ჩემი მონვევისათვის. არიან ადამიანები, რომელებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჩვენს საქმიანობასა და ჩვენს მუშაობას.

მე დავიბადე მესტიის რაიონში, სოფელ ეცერში. დედ-მამა ხელოვანი, მომღერალი მყავდა. ბავშვობიდანვე, სკოლის ასაკიდან სიმღერაში ვიყავი ჩართული. ამასთან, მამაჩემი სვანეთში ერთ-ერთი უძლიერესი ანსამბლის ხელმძღვანელი და მოცეკვავე იყო. ამის გარდა, მამიდად მეკუთვნიოდა ჩემი სკოლის სიმღერის მასწავლებელი, რომელმაც ძალიან ბევრი მომღერალი გაზარდა.

რომ დავამთავრე საშუალო სკოლა, პლატონ დადვანმა მიმიწვია თავის დიდ, ცნობილ ანსამბლში. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. თუმცა იმავე წელს ჩავირიცხე უნივერსიტეტში და არ მომეცა საშუალება, რომ დადვანის გუნდთან ერთად გამოვსულიყავი კონცერტზე. ეს იყო 1967-68 წლებში.

უნივერსიტეტში მოვხვდი თემურ ქევხიშვილის ვაჟთა ანსამბლში, რომელსაც დიდი ტრადიცია ჰქონდა. ამ ადამიანმა საერთოდ გადატრიალება მოახდინა ჩემში. მე სოლისტი არ ვყოფილვარ, ძლიერი ბანი ვიყავი. მასთან სვანური სიმღერებიდან მხოლოდ მირანგულას ვმღეროდი. ეს თემურ ქუაასელის, ლევან ღვინჯილიას თაობა იყო. საგასტროლოდ გერმანიაშიც ვიყავით. მეგობრები მირჩევდნენ, კურსზე დავრჩენილიყავი ანსამბლში ყოფნის ხათრით.

თქვენ მღეროდით სხვადასხვა ანსამბლში. მაგრამ ამავდროულად ხართ ლოტბარი და სვანური სიმღერის დიდი მცოდნე. საიდან დაიწყო თქვენი დაინტერესება სვანური სიმღერის შესახებ ცოდნის დაგროვებით?

თავიდან „გა“-მ დამაინტერესა, რომელიც უძველესი სვანური სიმღერაა, მასზე ბევრი საუბრობდა, თბილისშიც ჰქონოდათ გაგონილი, რომ იქ, სადღაც სვანეთში იცოდნენ „გა“. მეც



შინაგანად რაღაც ძალა მიზიდავდა „გა“-სკენ. მამაჩემმა როცა აღადგინა ეს სიმღერა, მაშინ მის ანსამბლში ძირითადად გურჩიანები მღეროდნენ. უძლიერესი მომღერლები იყვნენ. დღეს არც ერთი ცოცხალი აღარაა.

მოგითხრობთ, როგორ მოხდა ამ სიმღერის აღდგენა. შევიკრიბეთ მე, მამაჩემი, ბიძაჩემები — მოშნი გურჩიანი და ჩიჩო გურჩიანი, აირონგო გურჩიანი და ერთად საქეიფოდ დავჯექით, იქ კატეგორიულად მოვითხოვე, რომ „გა“-ს გარდა არ გამაგონოთ-მეთქი არაფერი. ერთი დანჯღრეული მაგნიტოფონი მქონდა და იმაზე ვინერდი. ისეთ აზარტში შევიდნენ, რომ სიმღერის გახსენების პროცესი საღამომდე გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იქნა, იმღერეს. მერე ვიჯექი და ვუკირკიტებდი ამ ჩანანერს, ისლამ ფილფანი დავიხმარე და სამ ხმაში გავარჩიეთ როგორც იყო. ჩავიტანეთ სვანეთში და მოვასმენინეთ მომღერლებს, ვკითხეთ, აბა, თუ იცით ეს რა სიმღერაა-თქო. მიხვდნენ, რომ ეს იყო „გა“, გაუხარდათ, იმიტომ, რომ არ იცოდნენ სრულად როგორ იყო.

ეს საკულტო სიმღერა მინათმოქმედებასთან ხომ არ იყო დაკავშირებული?

მე ვიცოდი, რომ „გა“ იყო ჩვენი წინაპრების ნაყოფიერების ღვთაება. „გი“-მ — სვანურად ნიშნავს მინას. და სიმღერის შინაარსიც ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული. „გა“-ს თქმა, სწორედ რომ თქმა და არა სიმღერა, ჩემს სოფელში მხოლოდ გერლიანების გვარს შეეძლო. ისინი „გა“-ს ყველიერის დროს მთავარანგე-

ლოზის ეკლესიაში ამბობდნენ, შემდეგ აღდგომის დღეს სუფრასთან პირველად ამავე სიმღერას ამბობდნენ. სანამ მას არ იტყოდნენ, მანამდე საჭმელს ხელს არ მოჰკიდებდნენ.

„გა“-ს პირველ ნაწილს, „სა-დამ“-ს ქორწილშიც ამბობდნენ, ვინაიდან ნაყოფიერებასთან იყო დაკავშირებული.

შემდგომში როგორ გაგრძელდა თქვენს მიერ სვანური სიმღერების მოძიება?

დავინწყე მოხუცი მომღერლების ძებნა. მოვიარეთ მთელი სვანეთი და ადგილებზე ფოლკლორულ ანსამბლებსაც ვეძებდით, მალე რაიონული ფესტივალი ჩავატარეთ. მაშინ კომპარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვიყავი. კულტურის განყოფილების გამგე ენა-გადმოგდებული დამდევდა, ისე გავანვალე ჩემი ინიციატივებით. ამ ფესტივალის ჩატარების შედეგად ნათელი გახდა, რომ ბევრი ისეთი მარგალიტი არსებობდა, რომლებიც არ იყო ცნობილი ანსამბლების რეპერტუარში — არც მეშველიანთან, არც დადვანთან. სასცენოდ უფრო ეფექტურ სიმღერებს არჩევდნენ, ვიდრე ასეთ მარგალიტებს. მე გავკვალე ეს გზა, რომ ნაკლებად ცნობილი სიმღერების შესრულება დაწყებულიყო, მათ შორის იყოს წმიდა გიორგის საგალობელი. ჩემს მიერ ჩამოყალიბებული გუნდებიც ცდილობდნენ, რომ ეს მივიწყებული სიმღერები აღედგინათ. ბევრი სიმღერა მასწავლა მაქსიმე გერგიანმა, გიორგი ფირცხელანმა, მათ შორის — უფალი ღმერთის სადიდებელი სიმღერა — „ღიადებ“. ხლაც მოიძებნებინა მოხუცები, რომლებსაც ახსოვთ ძველი სიმღერები.

ბატონო გურგენ, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს სიმღერა „ლილესთან“ დაკავშირებით. თითქოს ეს არის წარმართული ღვთაების, ან მზის საგალობელი. ზოგი ამბობს, რომ ეს სიმღერა მამა ღმერთის მიმართაა ნათქვამი. თქვენი აზრით რას ნიშნავს „ლილე“?

„ლილე“ იყო „ანი“-სა და „გი“-ს შვილი, რომელმაც სიცოცხლე შექმნა დედამიწაზე. „ანი“ არის ცა და „გი“ — დედამიწა. „ლილემ“ კი გაპყო ისინი ერთმანეთისგან. ეს იყო ღმერთი, რომელმაც წარდგინა კი მოუვლინა ადამიანებს. იგი მიწათმოქმედების ღვთაებაა.

რა შეგიძლიათ გვითხრათ სვანური ქრისტიანული საგალობლების შესახებ?

ქრისტიანობამ დიდი როლი ითამაშა სვანეთში. ანდრია პირველწოდებულის მოსვლამ საქართველოში დიდი ცვლილებები მოახდინა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში და სვანეთში, მან დიდი დრო დაჰყო სვანეთში. აქ



დიდი წინააღმდეგობები არც ყოფილა ქრისტიანულსა და ადგილობრივ სარწმუნოებას შორის.

სიმღერაში „ცხაუ ქრისტე“ — „ცხაუ“ ეპითეტია ღვთაების. ასევე „ო ქრისტეში“ უძველესი ქრისტიანული საგალობელია. „ლილე“-ს და „კვირია“-ს აგებულების მიხედვითაა შექმნილი. მისი შინაარსი არის — „ვილოცოთ“. ასევე ქრისტიანული საგალობელია „გაბრიელ მახარობელი“. სვანეთში გიორგობას „ი გერგი“ ქვია, და ვახსენებთ, როგორც „ჯგრაგი“ და ლოცვის დროსაც ასე მივმართავთ. „ჯგრაგი“ სვანურში „ცხებულს“ ნიშნავს. ივანე ჯავახიშვილის ნაწერებშიც ვხვდებით, რომ „ჯგრაგ“-ს ქრისტეზეც და ღმერთზეც უფრო მეტი ძალა ჰქონდა. ესაა გმირი, რომელიც ყოველ წუთში ადამიანთანაა, გაჭირვებაშიც, ძეობაში და ა.შ.. ის ადამიანის მხარეს დგას. ქრისტე კი — ლოცვაა. ასე დასტურდება საგალობლების ტექსტებში.

თუ შეიძლება, ვისაუბროთ სვანური სუფრის მიმდინარეობის შესახებ. რა თქმა უნდა, როგორც ზოგადი ქართული ტრადიციისათვის აუცილებელი სიმღერებიც ახლდა ამ სუფრას თან:

სუფრის თამადა პირველ სამ სადღეგრძელოს აუცილებლად ამბობდა ქრისტეს, მთავარანგელოზისა და „ჯგრაგი“-ს, ან ცალ-ცალკე, ან ერთად. თუ ერთად იტყოდა სამ ყლუპს მოსვამდა. ამ სადღეგრძელოებს თამადა ამბობდა თასით. შემდეგ თასს გადასცემდა მარჯვნივ მჯდომს, ან შეიძლება მოადგილე ჰყოლოდა. ისიც სამ ყლუპს მოსვამდა და ასე ჩამოატარებდნენ. ზოგიერთ მკვლევარს ეგონა, რომ სვანები ასე იმიტომ იქცევიან ჭიქები არა აქვთო, მაგრამ ეს საიდუმლო სერობის ერთგვარი იმიტაციაა, მხოლოდ წმიდა გიორგის სადღეგრძელოს მერე იწყებოდა მოლხენა. სუფრა მთავრდებოდა „ლამარეა“-თი.

ბატონო გურგენ თქვენი გუნდის საქმიანობის შესახებ თუ მოგვითხრობთ?

თქვენ წოდებულ ლობარად მომიხსენიეთ. მე ლობარი არა ვარ, ლობარობას უნდა თავისი დიდი გამოცდილება და მთელი ცხოვრება მე ვარ ენთუზიასტი. ჩემსცხოვრებაში, სხვანაირად ნუ ჩამომართმევთ, ძალიან ბევრი პროექტი მაქვს გაკეთებული და – სულ ენთუზიასით. ტაძარი სვანეთშიც მაქვს აშენებული და აქ დმანისშიც. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია იყო ჩემი. როცა მწვანეთა მოძრაობა დაიწყო სვანეთში, მე ჩავიყვანე იქ ზურა მაშინ ჩემს მეგობრებთან ერთად და ჩავატარეთ კრება მითხრეს: შენ ედექი ამ საქმეს. მე უარი განვუცხადე და ვუთხარი, სიმღერა უფრო მნიშვნელოვნად მიმანია-მეთქი.

შემდეგ ჩემი მაგნიტოფონით და კასეტებით ჩამოვედი აქ, დმანისში. ერთხელაც ანზორ ერქომაიშვილმა დამირეკა: სვანეთში ყოფილა და იქ უთქვამთ, რომ ჩვენ მეტი სიმღერები აღარ ვიცით, დანარჩენი გურგენს აქვსო. გაქვს ჩანაწერებიო? – შემეკითხა ანზორი. მე ვუთხარი მაქვს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მე ვფიქრობ და მუშავებზე-მეთქი, ანზორს გაეხარდა და შემაგულიანა. შეგვრიბე ბიჭები და შეგქმენი ანსამბლი, პატრიოტული სულისკვეთება გვამუშავებდა, არავითარი ფული, ოთხი წელი უსასყიდლოდ ვიმუშავეთ. დღეს ჩვენი ანსამბლის რიგებში 15 კაცია. რეპერტუარში 14 საგალობელი და 25-მდე სიმღერა გვაქვს, მათ შორის – ფერხულებიც.

კომპაქტ-დისკი ხომ არ გაქვთ გამოცემული?

ჩავწერეთ კომპაქტ-დისკი, გვპირდებიან, მა-ლე გამოვაო. ერთი კარგი ადამიანია, მალხაზი ჰქვიან (ივინის, მხედველობაში ჰყავს ინტერვიუს ჩამწერი), ის ამოგვიდგა მხარში დაგვაკავშირა იმ ხალხთან, ვისაც ხელეწიფება ეს საქმე.

თქვენ ალბათ ტრადიციულად თითო პირველ-მეორე ხმას ამღერებთ გუნდს?

ღიახ. ისედაც პირველ-მეორე ხმა თითო თუ არ არის, ბანებს უჭირთ, ზედა ხმები დაფარავენ. პირველ ხმას კივანს ვეძახით. ეორე ხმა უფრო მსუყვია. ბანი რაც უფრო დატვირთულია, მით უკეთესია.

დიდი მადლობა, ბატონო გურგენ, საინტერესო საუბრისათვის, გისურვებთ წარმატებებს და ბოლოს: მომავალ გვემეზუხრას გვეტყვი?

მე მთელი ცხოვრება სულ უსასყიდლოდ და გაჭირვებით მოვდივარ. ამით განსაკუთრებულობას სულ არ ვუსვამ ხაზს, მე ამას ვაკეთებდი მთელი სულით და გულით. მხარდაჭერა ადრე უფრო მეტი იყო – ადგილობრივი ხელი-სუფლების უყურადღებობას ვგულისხმობ. მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ შემოქმედებითი თვალსაზრისით მიზანს მივადწიე და ამით კმაყოფილი ვარ.

მოხუცების ნამდერი ცალ-ცალ ხმაში მქონდა ჩაწერილი. წარმოიდგინეთ, რა რთული იყო მუშაობა. მთელი ცხოვრების მანძილზე ამ სიმღერებს ხმების მიხედვით ვსწავლობდი და შემდეგ ანსამბლის წევრებს ვასწავლიდი. პატარა შელამაზებებსაც ვაკეთებდით, ჩვენი ხელწერა გვაქვს. მთავარია ტრადიციული აფუძველი და ინტონაცია შეინარჩუნო. ძალიან მინდა, რომ ჩემი ნაშრომებით მკვლევარები დაინტერესდნენ. მინდა გამოვცე ჩემი ნაშრომი სვანური სიმღერების არსის, მნიშვნელობის, შინაარსის, ისტორიის შესახებ. მინდა, დიდხანს მქონდეს საშუალება რომ ვიმუშაო და მეორე სიცოცხლეც რომ მქონდეს, ამ საქმეს დავეთმობდი.

ესაუბრა მალხაზ ერქვანიძე

მისდევს მელა ღომსა (აჭარა)

Misdevs Mela Lomsa (Acharian)

Andante

მისდევს მელა ღომსა-ა და, ტუჩა მგულა, შიტი ტორ-ბა-ა და, მწეროს სდევს დასი

lom - m - da, - tu - ru ragol - m - shi - ti kor - m - a da, - mtsgeros sdevs - dasi

მე - მე - ნო - სა ნო - სა ნო - სა ნო - სა და, რის ა -

mi - mi - no - sa, no - sa no - sa no - sa no - sa da, ris a -

ქლე - მი და, რის ა-ქლე - ში ცა-სა სდევს-დევს და, სა-ნა-ბა-ვად

khe - mi da, ris a - khe - shi ca - sa sdevs - ddevs da, sa - na - ba - vad

ხელ - ხე - ნო - ხე, ნო - ხე ნო - ხე ნო - ხე ნო - ხე და, მი - ხი - ნო - ხე, ნო - ხე ნო - ხე ნო - ხე ნო - ხე და.

mel - khe - no - khe, no - khe no - khe no - khe no - khe da, mi - khi - no - khe, no - khe no - khe no - khe no - khe da.